

საბა

№3 (315) | 2022



საქართველოს კათოლიკეთს ყოველთვიური მაცნე
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA



მთარსის ყოვლადსაძიდა მალაჩული მარტინის უბრძოდ ჩაგახვიტ
კათოლიკური საზრავლო



საზომადობა კავშირების
ბარეშე?..... 3

კათოლიკე ეკლესია
მსოფლიოში..... 4

ლაშა მანუკიანის მღვდლად
კურთხევა..... 6

ჩვენი საამაყო საგანა 8

თანაცხოვრება ეორწინების
ბარეშე 10

„მადია მოხალისეებისთვის“... 12

ნაზარეთის ხარების ბაზილიკა I-IV
სამარხვო კერძები: რა
მოვამადოთ მარხვის დროს? . 13

ქალა შარი თევა აბორთვა და
ბაჩინა თევაები; დღეს ისინი
მღვდლები არიან..... 14

საქართველოს ისტორიის
მემათიანე სოლომონ
ანლანიშვილი..... 16

შვიდასი წლისთავი დანთე
ალიგიერის დაბადებიდან 18

„სამოსელი შირველი“..... 20

დედიკო, რათოშ ჰევიან
ორშაბათიდან პარუსკევის
ჩათვლით დღეებს საშუაო
დღეები?..... 22

ბანცხადებები 23

- 2 მარტი - ნატრის ოთხშაბათი, მძიმე მარხვის დღე
- 19 მარტი - წმ. იოსების დიდდღესასწაული, არლის საკრებულოს დღეობა
- 25 მარტი - უფლის ხარება, ქიათურის საკრებულოს დღეობა
- 26 მარტი - მ. ემანუელ ვარდიძის გახსენება (+1966)

გაცანით საბაუნის მორიგ გამოცემას:

ჭოის პ. კაუფმანი - „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, თეორია და პრაქტიკა“.

ეს წიგნი, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა, ინგლისურიდან თარგმნა საბაუნის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა ირაკლი ჭავახიშვილმა.

მოიკითხეთ მაღაზიებში: „სანტა ესპერანსა“ და „ლიგამუსი“!



სულსან-საბა ორბელიანის
შენიშვნები




ურთიერთობა კაცობრიობის არსებობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს; ჩვენ ვიბადებით მიერთებულნი ჭიპლართან და მას დაბადებისთანავე გამოვეყოფით. თუმცა სინამდვილეში ხანგრძლივად ვრჩებით ჭიპლართან სხვადასხვაგვარად მიერთებულნი: ჩვენ ვართ ერთადერთი ძუძუმწოვარი, რომლებიც დიდხანს საჭიროებენ ზრუნვასა და სიყვარულს: იმისათვის, რომ გავიაროთ, ვიკვებოთ... „სხვა“ ხდება შეუცვლელი და ჩვენი მიღწევები ცხოვრებაში დამოკიდებულია ჩვენს უნარზე, ვიცხოვროთ ურთიერთობით ისე, რომ გამოვიყენოთ ის საჭირო დროს და შეგვეძლოს იმის აღიარება, რომ მათ გვერდს ვერ ავუვლით. რა თქმა უნდა, ურთიერთობა რომ მომნიჭდეს, საჭიროა სწორი დისტანცია, რაც კარგადაა ასახული შოპენჰაუერის მეტაფორაში მაჩვზღარბთა შესახებ: „...ზამთრის ერთ სუსხიან დღეს მაჩვზღარბები ერთად შეჯგუფდნენ, რათა ერთმანეთის სითბოთი დაეცვათ თავი გაყინვისაგან. სულ მალე ერთიმეორის ეკლები იგრძნეს; ტკივილის გამო იძულებულნი გახდნენ ერთმანეთს ისევ დაშორებოდნენ... ასე დადიოდნენ წინ და უკან ორ გასაჭირს შორის მოქცეულები, სანამ არ მიაგნეს ურთიერთშორის ზომიერ დისტანციას, რაც მათთვის საუკეთესო მდგომარეობას წარმოადგენდა“.

არცთუ იშვიათად განიხილავენ კავშირს სულის შემხუთველ და მავნე მდგომარეობად, მას ადარებენ ბორკილებს ან ყელსახვევს; ამით შეიძლება აიხსნას, რამდენად რთულია ურთიერთკავშირში სწორი დისტანციის დაჭერა. დღეს უკვე საუბრობენ „კავშირებს გარეშე“ დარჩენილ ადამიანსა და საზოგადოებაზე, ყველა იმ ნიშნის გათვალისწინებით, რომლებიც საუკუნის ამ ფაზაში მონაცვლეობენ ადამიანთა ცხოვრებაში: მათგან დაწყებული, ვინც ამჯობინებს მარტო ცხოვრებას, ე.წ. მარტოობის ფენომენი... შიში, მიტოვებულობის განცდა, თავისუფლება, დამოკიდებულება, სისუსტე, სურვილი, სიმხდალე - ეს ყველაფერი ზემოქმედებს ჩვენს ყოველდღიურ

ცხოვრებაზე და განაპირობებს ჩვენს არჩევანს. ყოვლისმომცველი ინდივიდუალიზმის ამ სამყაროში საზოგადოება გახდა მერყევი და სწრაფი ადამიანურ ურთიერთობებსა და დღევანდელ კავშირებში; ურთიერთობა გამუდმებით მერყეობს ტკბილ ოცნებებსა და საზარელ სიზმრებს შორის და ვერავინ ვერასოდეს მიხვდება როდის გარდაისახებიან ერთიმეორეში. ეს ორი მოვლენა თითქმის ყოველთვის თანაარსებობს, თუმცა ცნობიერების სხვადასხვა დონეზე. დღეს უფრო ხშირად საუბრობენ *კავშირებზე*, ვიდრე *ურთიერთობებზე*, თითქოს „ურთიერთობები“ ჩვენში ინვესს „ბუნდოვან საფრთხეებს და ცუდს მოასწავებენ“, ხოლო „კავშირი“ მიუთითებს ნაკლებად სავალდებულო კონტაქტზე, რასაც ადვილად დაამყარებ და განწყვეტ. რეალური ურთიერთობებისგან განსხვავებით, ვირტუალური ურთიერთობები უფრო მეტად ცინცხალი, მხიარული და მსუბუქია, მაგრამ ასევე წარმავალი, ზედაპირული და, რაც მთავარია, ის პრევიტუალურ ურთიერთობას იმაზე მეტად ბედნიერს არ ხდის, ვიდრე იყო. *თანამედროვე თხევადი სამყაროს* ცხოვრებისეულ სცენარში ეს ინვესს ჩვენი კავშირების შეცვლას, მონაცვლეობას, გამოფიტვას და გრძნობებისგან დაცლას. შეგვიძლია დავივინყოთ ურთიერთობა? ფიქრი იმაზე, რომ ურთიერთობა არ არსებობს ან შეიძლება ადამიანი დავივინყოთ ან განზე გავწიოთ, როგორც საგანი, ალბათ ჩვენ მიერ დაშვებული ყველაზე მძიმე შეცდომა იქნებოდა; ადამიანებთან შინაგან კავშირს მაშინაც კი ვაგრძელებთ, როცა ისინი აღარ არიან, ვინაიდან კავშირი დამოკიდებულია არა გარე, არამედ ჩვენს შინაგან სამყაროზე.

ამ დიდმარხვის დასაწყისს, ხომ არ აჯობებს, დავფიქრდეთ „სიყვარულის კავშირებზე“, რითაც ღმერთი გამუდმებით ცდილობს, თავისკენ მიგვიზიდოს (შდრ. ოს.11,4) და იმ ძმურ ურთიერთობაზე, რაც ნათლობის მეშვეობით მყარდება ადამიანსა და ეკლესიას შორის?



სინოდური გზა: პირველი შედეგები

ეპისკოპოსთა სინოდის საბჭოს XV ორდინალურ სხდომაზე შეკრებილმა იერარქებმა სინოდური გზის პირველი ეტაპი განიხილეს. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ აღმოსავლურ კათოლიკე ეკლესიებში სინოდური გზის კოორდინაციისთვის დაინიშნენ პასუხისმგებელი პირები ან პირთა ჯგუფები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ პროცესში დიდი ენთუზიაზმით ჩაერთნენ საერონი. რაც შეეხება სინოდური გზის ეკუმენურ და რელიგიათაშორის ასპექტს, სხვა ქრისტიანული კონფესიების მხრიდან აღინიშნება გარკვეული ინტერესი და კათოლიკე ეკლესიის მიერ დაწყებულ პროცესში წვლილის შეტანის სურვილი. სინოდის საბჭოს კომუნიკეში აღნიშნულია ისიც, რომ „მორწმუნეთა და სასულიერო პირებს შორის აღინიშნება გარკვეული ეჭვი, რომ მათი მოსაზრებები და წვლილი სინოდის ყურადღების მიღმა დარჩება. გარდა ამისა, მორწმუნეთა შეხვედრებს აფერხებს პანდემიის გამო შემოღებული რეგულაციები და პროტოკოლი. ღმრთის ხალხთან ურთიერთობისას უბრალო კითხვარებს ვერ დავჯერდებით, რადგან ჭეშმარიტი სინოდურობა სწორედ ერთმანეთის მოსმენა და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებაა. იმისთვის, რომ სინოდური გზა უბრალოდ დებატებად არ იქცეს და ჭეშმარიტად სულიერი პროცესი იყოს, ერთმანეთის მოსმენა უნდა ვისწავლოთ, რადგან მოსმენის, ლოცვისა და ღვთის სიტყვის მეშვეობით მორწმუნეები უნდა გაიხსნან ერთმანეთისთვის და ერთად აუწყონ სახარება. სინოდური ეკლესია მისიონერული ეკლესიაა, სადაც ყოველ მორწმუნეს თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია ეკლესიის მისიაში. განვლილმა ეტაპმა ცხადყო ისიც, რომ პროცესში ახალგაზრდების ჩართვისთვის ახალი გზები უნდა ვეძებოთ. ჯერ კიდევ არსებული დაბრკოლებების მიუხედავად, გვახარებს ის, რომ მორწმუნეები სულ უფრო ცხადად აცნობიერებენ, რომ სინოდური მოქცევა ხანგრძლივი პროცესია და რომ სინოდურობა ეკლესიის განმსაზღვრელი განზომილებაა“.

იოანე ნათლისმცემლის მონაშებრივი აღსასრულის ადგილის ბრატვიკული რეკონსტრუქცია

ჰეროდეს სასახლე, სადაც ეწამა და მოკვდა იოანე ნათლისმცემელი, იუდეველთა პირველი ომის ბოლოს დაინგრა. 1968 წელს გერმანელმა მეცნიერმა აუგუსტ შტრობელმა აღმოაჩინა სასახლის კედლის ფრაგმენტი. შემდგომში ამ ადგილას იტალიელი არქეოლოგებიც მუშაობდნენ, მაგრამ ჩანაწერები არ დაუტოვებიათ. 2009 წელს იორდანიაში მოგზაურობისას პაპმა ბენედიქტე XVI-მ გამოთქვა სურვილი, რომ გათხრები განახლებულიყო. იორდანის სიძველეთა დეპარტამენტმა ამ სამუშაოს ხელმძღვანელობა უნგრელ პროფესორს და არქეოლოგს, დიეზე ვერეშს დაავალა.

გათხრები ფრანცისკელთა ბიბლიური სკოლის, საფრანგეთის ბიბლიური არქეოლოგიის სკოლისა და მისისიპის უნივერსიტეტის კობას არქეოლოგიური ინსტიტუტის მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა. შედეგად ნაპოვნია ჰეროდეს სასახლის ასი ათასზე მეტი ფრაგმენტი. ამგვარდ, შესაძლებელი გახდა ჰეროდეს სასახლის - ისტორიისა და ჩვენი რწმენისთვის ასე მნიშვნელოვანი ადგილის გრაფიკული რეკონსტრუქცია.

პანდემიის კიდევ ერთი „გვერდითი მოვლენა“

ვატიკანის „ყრმა იესოს“ ბავშვთა კლინიკის ენდოკრინოლოგები სხვა საავადმყოფოების ექიმებთან მჭიდრო თანამშრომლობით რამდენიმე თვის განმავლობაში იკვლევდნენ ე. წ. „პარალელურ პანდემიას“, რომელიც უშუალოდ ვირუსით კი არა, ამ ვირუსის გამო შექმნილი ვითარების გამო შეიქმნა. კვლევამ აჩვენა, რომ 2019 წელთან შედარებით ოთხჯერ იმატა ნაადრევი პუბერტატის შემთხვევებმა. ადრეული მომნიშვნის (პათოლოგია მეტწილად 6-8 წლის ასაკის გოგონებში ვლინდება) მთავარი საფრთხე ისაა, რომ ბავშვები სწრაფად ზრდას იწყებენ, შემდეგ კი ეს პროცესი წყდება და ძვლები სათანადო განვითარებას ვერ ასწრებს. პათოლოგიის დროული გამოვლინების შემთხვევაში შესაძლებელია ამ პროცესის შეჩერება სათანადოდ შერჩეული მკურნალობის საშუალებით. „ყრმა იესოს“ კლინიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ნაადრევი პუბერტატის შემთხვევათა მკვეთრი ზრდა გამოწვეულია მოძრაობის დეფიციტით, არასწორი კვებით და გაჯეტების მოხმარების ზრდით, რაც, თავის მხრივ, ხანგრძლივი დისტანციური სწავლებითაა გამოწვეული. კიდევ ერთ შესაძლო მიზეზად მედიკოსები იზოლაციით გამოწვეულ სტრესსაც ასახელებენ. „ყრმა იესოს“ კლინიკის პედიატრ-ენდოკრინოლოგი კარლა ბიძარი აღნიშნავს, რომ ნაადრევი პუბერტატის ერთ-ერთი მიზეზი ნეირომედიატორებისა და ჰორმონების გამომუშავების სტრესით გამოწვეული დარღვევაა.

ლოცვა და ერთი ფინჯანი კაკაო

11 თებერვალს ფრანგ კათოლიკე მონაზონს, და ანდრეა რანდონს 118 წელი შეუსრულდა. თითქმის ასი წელი ის ავადმყოფ ბავშვებსა და ხანდაზმულებს ემსახურა. ასე ემსახურებოდა და ანდრეა უფალს და მოყვასს მანამ, სანამ მონაზვნად აღიკვეცებოდა. მონაზვნად ორმოცი წლის ასაკში ეკურთხა და წმიდა ვენსან დე პოლის „მონყალების მხევალთა“ ორდენს შეუერთდა. ახლა და ანდრეა ტულონში, მოხუცთა თავშესაფარში ცხოვრობს და ყველა მსურველს ბედნიერი ცხოვრების რეცეპტს უზიარებს: ლოცვა და ერთი ფინჯანი კაკაო.



ლაშა მანუკიანის მღვდლად კურთხევა



საქართველოში კათოლიკე ეკლესიას კიდევ ერთი მღვდელი ჰყავს. 2022 წლის 1-ელ თებერვალს დიაკონი ლაშა მანუკიანი მღვდლად ეკურთხა. მისი ხელდასხმა თბილისში, მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში გაიმართა.

2022 წლის 10 იანვარს კამილიელთა ორდენის პოლონეთის პროვინციის უფროსმა, ლაშა მანუკიანის მღვდლად ხელდასხმასთან დაკავშირებით, წერილობით მიმართა საქართველოში კათოლიკე ეკლესიის ეპისკოპოსს, ჯუზეპე პაზოტოს:

„მე, ქვემოთ ხელისმომწერი, მამა მიროსლავ შვანიოხი, კამილიელთა ორდენის პოლონეთის პროვინციის უფროსი, ჩემი მრჩეველთა საბჭოს დადებითი აზრით, მღვდლად ხელდასხმის ნებას ვრთავ სამუდამო აღთქმების ბერს, ლაშა მანუკიანს და ხელდასახმელად წარგიდგენთ მას, თქვენო აღმატებულებავ, მეუფე ჯუზეპე პაზოტო, ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორო“.

ლიტურგიაზე ამ წერილის საჯაროდ წაკითხვის შემდეგ მღვდლად კურთხევის ცერემონია დაიწყო. დიაკონ ლაშა მანუკიანს ხელი დაასხა ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ. ლიტურგიაზე იმყოფებოდნენ: წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში — არქიეპისკოპოსი ჟოზე აველინო ბეტენკური, ქვეყნის სხვადასხვა სამრევლოში მოღვაწე მღვდლები და პოლონეთიდან ჩამოსული კამილიელთა ორდენის ბერმონაზვნები. ქადაგებისას ეპისკოპოსმა სამ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება:

„**მხოლოდ მარტო შენ ფონს ვერ გახვალ! (გამ. 18,19).** დაახ, სწორედ ასეა, ძვირფასო ლაშა, მარტო ვერ განახორციელებ ამ ნიჭს. „სამღვდლო მსახურებას აქვს რადიკალურად საკრებულო ფორმა და შეიძლება აღსრულდეს მხოლოდ როგორც საერთო საქმე“ (წმ. იოანე პავლე მეორე, Pastores dabo vobis 17) (...).

წურასოდეს გეგონება თავი სხვათა მფლობელი! წმიდა პავლე კორინთელებს სწერს: არ ვაპირებთ „ვიბატონოთ თქვენს რწმენაზე, არამედ ხელს ვუწყობთ თქვენს სიხარულს“ (2 კორ. 1, 24). მღვდელი როდია „ყოვლისმცოდნე მასწავლებელი“ ან უბნის მეთაური, მღვდელი თითოეულის სიხარულის მსახური და თანამშრომელი (...).

მიგიზიდოს ადამიანთა ხორციელმა და სულიერმა იარებმა: აქ გაბრწყინდება შენი, როგორც კამილიელის, მღვდლობა! შენ ცხოვრებაში განგიცდია გულმონყალება და მიეძღვენი ღვთისა და ეკლესიის გულმონყალების მსახურებას. შენი მოწოდება იბადება წმ. კამილოს ამ განწყობიდან ტანჯული ადამიანის წინაშე. რამდენი ხალხი იტანჯება, თითოეული განვიცდით ტანჯვას!“ (...).

ამ სიტყვებით მიმართა ეპისკოპოსმა დიაკონ ლაშა მანუკიანს და ღვთისმშობელი მარიამის მფარველობა უსურვა...

26 წლის ლაშა მანუკიანი უკვე კამილიელთა ორდენის ბერმონაზონია. იგი რამდენიმე წელია წმიდა კამილოს ძმების ოჯახთან ერთად ცხოვრობს. ამბობს, რომ მათი საქმიანობა მის მოწოდებასთან ყველაზე ახლოსაა და სწორედ ამიტომ აირჩია ეს გზა.

2014 წლის 8 სექტემბერს მან საბერმონაზვნო ცხოვრებისათვის მომზადება დაიწყო. 2015—2019 წლებში სწავლობდა ყაზახეთის სასულიერო სემინარიაში.

2019 წლის 6 ოქტომბერს, რაბათის წმიდა სავარდის ტაძარში მან მუდმივი აღთქმა დადო. 2021 წლის 24 აპრილს თბილისში, წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში იგი დიაკვნად ეკურთხა.

მღვდლად კურთხევის შემდეგ პირველი წმ. ნირვა მამა ლაშა მანუკიანმა კამილიელ ბერმონაზვნებთან ერთად, მათსავე ოჯახში აღავლინა. პირველი საკვირაო წმ. ნირვა კი - ადიგენის სოფელ არლის წმ. იოსების ტაძარში.



რვენი საამაჟო საჰანე



სტამბოლის ქართველთა საჰანე - ლურდის ღვთისმშობლის ქართული კათოლიკური ტაძარი (თურქ. Bomonti Gürcü Katolik Kilisesi) ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერაა, რომლის დამფუძნებელი იყო ახალციხელი მამა პეტრე ხარისჭირაშვილი. მან სტამბოლის უბანში — ფერიქოში 1861 წელს ააშენა ეკლესია და დააარსა დედათა და მამათა მონასტრები. ქართულ კათოლიკურ ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულად აღევლინებოდა.

1950-იან წლებში სტამბოლში ცხოვრობდა კათოლიკური აღმსარებლობის ათი ათასამდე ეთნიკური ქართველი. 1955 წელს, ადნან მენდერესის დროს, სტამბოლის დარბევის შემდეგ ბევრი ქართველი ემიგრაციაში წავიდა. დღეს ქართული კათოლიკური თემი მხოლოდ 200-250 ადამიანს ითვლის, რადგან სტამბოლში ქართველი კათო-

ლიკე ქრისტიანების რაოდენობა შემცირდა. 2019 წლის მდგომარეობით ტაძარი კვლავ მოქმედია, იგი ერთ-ერთია მსოფლიოში არსებულ მცირერიცხოვან ქართულ კათოლიკურ ტაძრებს შორის.

პეტრე ხარისჭირაშვილის დაუღალავი შრომის შედეგად ქართველთა საჰანეში 1870 წლისათვის გაიხსნა ქართული სტამბა, შემდეგ კი ქართულ-ფრანგული, ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები.

საჰანეში 1908 წელს დაარსდა აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა, სადაც დღემდე დაცულია უნიკალური ქართული და უცხოური გამოცემები. წლების განმავლობაში აქ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან იგზავნებოდა ემიგრანტული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში 17 ენაზე გამოცემული წიგნები და ჟურნალ-გაზეთებია დაცული. საჰანის აღზრდილები არიან ცნობილი მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები: ივანე გვარამაძე, მიხეილ თამარაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე, პეტრე მერაბიშვილი და სხვები. საჰანეს 1921 წლის მარტში თავი შეაფარა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარგარეთ გახიზნულმა მთავრობამ.

დღეისათვის ტაძარში წირვა-ლოცვა თურქულ ენაზე აღევლინება, ტაძრის მეორე სართულზე კი კეთილმოწყობილი კაბინეტია გამოყოფილი სტამბოლში მცხოვრები ქართველებისათვის; აქ, ძირითადად, იკრიბებიან მართლმადიდებელი ქა-



რთველი ემიგრანტები, რომლებიც სტამბოლში სამუშაოდ არიან ჩასულები.

ეკლესიის ბიბლიოთეკის არქივში დაცულია უამრავი დოკუმენტი სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ტაძრის შესახებ, რომლებსაც თურქეთში მოღვაწე მეცნიერმა მურად ქასაბმა მიაკვლია. დოკუმენტების უმეტესობა ოსმალურ ენაზეა დანერგილი.

1966 წელს ეკლესია-მონასტრის მოვლა-პატრონობისათვის შეიქმნა ფონდი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს პავლე ზაზაძე. მისი გარდაცვალების შემდეგ კი სავანეს მემკვიდრეები, სიმონ და პავლე (პოლ) ზაზაძეები ჩაუდგნენ სათავეში.

2022 წლის 11 თებერვალს, სტამბოლში, ლურდის ღვთისმშობლის ქართული კათოლიკური ტაძრის დღესასწაული აღინიშნა. ამასთან დაკავ-

შირებით, სტამბოლის ეპისკოპოსმა მასიმილიანო პალინურომ, სალელ მღვდლებთან ერთად, ალავლინა სადღესასწაულო წმ. წირვა, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მღვდელი მამა მიხეილ სურმავა და მრევლის წვერი გიორგი ლომიძე.

მამა მიხეილმა ტაძრის მრევლსა და სასულიერო პირებს საქართველოს კათოლიკე ეკლესიის, ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოსა და კულტურის კომისიისაგან ძმური მოკითხვა უსახსოვრა. გარდა ამისა, მან სტამბოლის ქართველთა სავანეში არსებულ ბიბლიოთეკას უსახსოვრა ნუგზარ პაპუაშვილის წიგნის „უდე და მისი ეკლესია“ რამდენიმე ეგზემპლარი.

ფოტოგასაღი: გიორგი ლომიძე

წყარო: nostal.ge; wikipedia; catholic.ge



■ თანაცხოვრება ქორწინების ბარეში



ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ადამიანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ხდება ახლო ურთიერთობები, როდესაც მან თანამგზავრი, პარტნიორი უნდა აირჩიოს. ზოგიერთი ლამაზი ქორწილზე ოცნებობს, ზოგი კი - ურთიერთობის იურიდიულად დაკანონებაზე, რაც სტაბილური ოჯახის გარანტიად მიიჩნია. ჩვენი წერილი ეხება მათ, ვისაც არც ქორწინების მოწმობა სჭირდება, არც გრანდიოზული ცერემონიალი და, მით უმეტეს, არც ჯვრისწერა. საინტერესოა, როგორ ირჩევენ ადამიანები პარტნიორს, რატომ ირჩევენ ზოგიერთი ქორწინებას, ზოგი, უბრალოდ, თანაცხოვრებას, ზოგი კი მარტოხელობას?

ქართულ სინამდვილეში თანაცხოვრება ქორწინების გარეშე ჯერჯერობით სიახლეა და არცთუ ისე ბევრი „მიმდევარი“ ჰყავს. ცხოვრების ამ სტილს ხშირად აკრიტიკებენ რელიგიური, ტრადიციული თუ სხვა შეხედულებების გამო. საზოგადოებრივი ნორმები ჩვენს ქვეყანაში წყვილისგან მოითხოვს ქორწინებას, მის შენარჩუნებას ნებისმიერ ფასად (სავარაუდოდ, მხოლოდ ქალისგან), თუმცა თანაცხოვრების ტენდენცია დიდ ქალაქებში უკვე შესამჩნევია. ზოგიერთი წყვილი ირჩევს უბრალოდ თანაცხოვრებას ქორწინებისა და ჯვრისწერის გარეშე. ასეთ წყვილთა 57%-ს არ ჰყავთ შვილები. რთულია მათი რაოდენობის ზუსტი სტატისტიკის დადგენა, რადგან ზოგიერთს არ სურს პირადი ცხოვრების საჯაროდ გაცხადება, ალბათ იმიტომ, რომ ამ სახის ურთიერთობები არასტა-

ბილურია. თუმცა მაინც არსებობს გარკვეული მონაცემები: 1970 წლიდან 2008 წლამდე თანაცხოვრების მსურველთა რიცხვი საგრძობლად გაიზარდა: 523 000-დან 6 799 000-მდე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ წყვილთა უმეტესობა გეგმავს ქორწინებას, მხოლოდ 1/3 რეალურად ახორციელებს მას. სამი ათასი წყვილის გამოკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ ის წყვილები, რომლებიც ქორწინებამდე ერთად არ ცხოვრობდნენ, უფრო ბედნიერები და ერთგულები არიან, ვიდრე ქორწინებამდე ერთად მცხოვრებნი. ამასთან, ეს უკანასკნელნი ნაკლებად უდგანან ერთმანეთს გვერდში პრობლემის გადაწყვეტისას. რა განაპირობებს თავშეკავებას იმ ნაბიჯისგან, რომელიც გარკვეულ პასუხისმგებლობას გულისხმობს? არაფორმალური თანაცხოვრებაც ბევრ ისეთ რამეს მოითხოვს, რასაც ქორწინება უნდა გადაიჭრას კონფლიქტი, აუცილებელია ასევე მუდმივი და ეფექტური კომუნიკაცია, უნდა გაუმკლავდნენ პრობლემებს, იყვნენ ერთგულნი. მაგრამ, რა თქმა უნდა, არის განსხვავებაც, თანამცხოვრებ წყვილებს აქვთ მეტი თავისუფლება სასიყვარულო ურთიერთობების ძიებაში, ნაკლებად ვალდებულნი არიან ერთმანეთის წინაშე. ეს არის ურთიერთობა სანახევროდ, თავის მიძღვნა სანახევროდ, სიყვარული სანახევროდ. რა ინვესტიციას შიშს, რომელიც აბრკოლებს წყვილებს სრულ ურთიერთმიღებაში, რაც უპირობო სიყვარულის გამოხატვაა, ასევე აიძულებს მათ, უარი თქვან ქორწინებით

შეკრულ კავშირზე და ალებულ ვალდებულებებზე. არსებობს უამრავი ვარაუდი: ზოგიერთისთვის ეს არის შესაფერისი პარტნიორის ძიების არასასურველი შედეგი. ზოგიერთნი უბრალოდ ტკებებიან თავისუფალი ინტიმური ურთიერთობით და თავს არიდებენ ოჯახურ პრობლემებს. ზოგიერთს არ უნდა, რომ პარტნიორი ხელს უშლიდეს მის პიროვნულ განვითარებას. ან კიდევ, ადამიანებს არ სურთ, განიცადონ სევდა, უბედურება, ბრაზი, სექსუალური ფრუსტრაცია და მარტოობა, როცა ურთიერთობისგან ბევრს ელოდნენ. ასევე ძალიან ბევრი გაურბის მშობლობის პასუხისმგებლობას.

ამგვარი გარემოება საშუალებას არ გვაძლევს, შევიყვაროთ უპირობოდ, ვენდოთ უპირობოდ, რომ ვიქცეთ ერთ სხეულად, ერთ ხორცად, ღვთის ხატად, რაც იწვევს უნდობლობას ქორწინების ინსტიტუტისადმი, ღვთის ჩანაფიქრის მიმართ, ღვთისა, რომელმაც შექმნა ადამიანი მამაკაცად და დედაკაცად, ერთმანეთისთვის შექმნა ისინი და თქვა, რომ კარგია. ზოგიერთი ფიქრობს, რომ თუკი წყვილი კარგად გრძნობს თავს ერთად, ჯვრისწერა საჭირო არაა. საბჭოთა პერიოდში ჩვენც ასე ვიცხოვრეთ და გვეგონა, რომ სამოქალაქო ქორწინება სრული იყო. თუმცა ეკლესიის წიაღში აღმოვაჩინეთ, რომ ღმერთის მოწვევა ჩვენს ცხოვრებაში და ამაღლევებელი ნუთები აღთქმისას, რომ გეყვარება, მიიღებ, უერთგულებ, დაიცავ და გაუფრთხილდები მთელი სიცოცხლის მანძილზე, ახალ სულს შთაბერავდა და სხვა სიმალღეზე აიყვანდა ჩვენს ურთიერთობას და პირადად გამოვცა-

დეთ ძალა ამ საიდუმლოსი, რომელიც სამუდამოა.

ბიბლია საკმაოდ ნათლად განსაზღვრულ შეხედულებას წარმოგვიდგენს წყვილის ცხოვრებაზე. არსებობს დედაკაცისა და მამაკაცის უფლებისა და ღირსების თანასწორობა, რომელთა ერთობლიობა კაცობრიობას ქმნის ღვთის ხატებად. ქებათა ქება: ადამიანური სიყვარული ღვთაებრივი სიყვარულის სიმბოლოა, სიყვარული უნდა განიწმიდოს: ანუ ადამიანი მხოლოდ საკუთარი თავის, საკუთარი სიამოვნების გამო კი არ უნდა გიყვარდეს, არამედ მისი პიროვნულობის, მისი არსებობის გამო (2,16; 6,3; 7,11), გიყვარდეს ისეთი, როგორც არის და არა როგორც შენ გსურს. სიკვდილივით ძლიერია სიყვარული, რამეთუ იგი სიცოცხლის აზრია და რადგანაც ეს თავისთავად არის სიკვდილი, საკუთარი სიცოცხლის განირვა იმ მიზნით, რომ შეიქმნას საერთო „ჩვენ“. ერთ ხორცად ქმნა ნიშნავს ზრუნვას ერთმანეთზე, ისე როგორც საკუთარ თავზე, საკუთარ ხორცზე (გვასწავლის პავლე მოციქული). საკუთარ დედ-მამას ვტოვებთ იმისთვის, რომ ახალი ოჯახი შევქმნათ და ვიცხოვროთ პასუხისმგებლობით.

დასასრულ, დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად თანაცხოვრების მსურველ ადამიანთა რაოდენობის ზრდისა, ასეთი სახის ურთიერთობა არასტაბილურია და არ არის შემდგომი მყარი ოჯახური ურთიერთობების გარანტი. პირიქით, ხშირ შემთხვევაში, უფრო მეტად სრულდება განშორებით, ქორწინების შემთხვევაშიც კი და მეტია იმედგაცრუების რისკი.



„მედია მოხალისეებისთვის“

18-20 თებერვალს ქ. ახალციხეში, გესტჰაუს „კანტორა 19-ში“, კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორის მეუფე ჯუზეპე პაზოტოს კურთხევით, ჩატარდა ტრენინგი „მედია მოხალისეებისათვის“. ტრენინგის მიზანია, ასწავლოს სხვადასხვა სამრევლოს წარმომადგენლებს თუ რას ნიშნავს მედია, რათა შემდგომ მათ გამოიყენონ მიღებული ცოდნა საჭიროებისამებრ, ანდა გახდნენ საიტის catholic.ge მოხალისეები/მეგობრები, როცა მათ სამრევლოებში მნიშვნელოვანი ღონისძიებებისთვის საჭირო იქნება ტექსტისა და ფოტო-ვიდეო მასალის მომზადება.

სწორედ ამიტომ მოძღვრები და სხვადასხვა სამრევლოს აქტიური წარმომადგენელები ჩამოვიდნენ ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად. მსურველები იყვნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, შრომიდან, არლიდან, ვალეიდან, გორიდან და თვით ახალციხიდან, სულ ოცდაშვიდი მონაწილე.

ტრენინგს გაუძღვნენ საიტის catholic.ge თანამშრომლები და მეგობრები:

თაკო ფეიქრიშვილი – მედიის მნიშვნელობა, ყალბი ამბები, ტექსტები

რობი ზარიძე – ფოტო-ვიდეო მასალის მომზადება

მამა მიხეილ სურმავა – კათოლიკე ეკლესიაში მედიის არსებობა

შოთა გიქოშვილი – თარგმანისთვის შესარჩევი ამბები, მოხალისეობა.

ტრენინგის მთავარი მიზანი იყო:

- ჩვენი ვებგვერდისა და კათოლიკე ეკლესიის მედიის გაცნობა მრევლისთვის. ასევე, მედიანგინიერების სწავლება, უფრო კონკრეტულად:
- ჩვენი ვებგვერდის მნიშვნელობა ეკლესიისთვის, რას ვაკეთებთ და როგორ...
- როგორ უნდა შევარჩიოთ ინტერნეტში, სატელევიზიო და სხვა მედია საშუალებებში მასალები, რომ არ გავხდეთ დეზინფორმაციის მსხვერპლი;
- როგორ გავარჩიოთ ყალბი ამბები ნამდვილისგან;
- როგორ ვიპოვოთ თავისუფალ პლატფორმაზე ფოტოები, რომელთა გამოყენების უფლებაც გვაქვს;
- როგორ მოვამზადოთ პოსტერები;
- როგორ ვწეროთ ტექსტები;
- როგორ დავამონტაჟოთ პატარა ვიდეოები;
- როგორ შევარჩიოთ კადრები...

შაბათს ჩატარებულ მინიკონკურსში – საუკეთესო ფოტოსურათი გამოვლინდა სამი გამარჯვებული. ისინი ამოირჩიეს: თვით მეუფე ჯუზეპემ, catholic.ge შტაფმა და ტრენინგის მონაწილეებმა. არჩევანი იყო ფარული, ანანიმური. აი, კონკურსში გამარჯვებულნი: ლანა გელაშვილი, თინათინ მათოშვილი, მარიამ აბულაძე.

ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი, მოხალისეებს და Catholic.ge ჯგუფის მეგობრებს კი – სამსოგრო საჩუქრები.



ნაზარეთის ხარების ბაზილიკა



ხარების ბაზილიკა (ებრაულად: **בֵּית לֵוִי הַבְּשׂוּרָה**) მთავარი კათოლიკური ტაძარია ისრაელის ქალაქ ნაზარეთში. იგი აღმართულია იმ ადგილზე, სადაც, ქრისტიანული ტრადიციის მიხედვით, მთავარანგელოზმა გაბრიელმა მარიამს ახარა, რომ ის მალე იესოს შობდა.

ისტორია

იესოს დროს მიღებული იყო მთის ფერდობებზე სახლების აშენება, გამოქვაბულებისა და მღვიმეების გათხრა და მათი გამოყენება საცხოვრებელ ნაწილად ან სამეურნეო საქმიანობისათვის. სწორედ ერთ-ერთ ასეთ მღვიმეში მოხდა ხარება. მარიამის სახლი-გამოქვაბული უძველესი სოფლის, ნაზარეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვარზე მდებარეობდა. მარიამის ოჯახის შთამომავლებს თავიდანვე გადაეცათ მღვიმე, რომელიც მათ სხვებისგან გამოყვეს და ააშენეს პატარა ეკლესია შეხვედრებისა და ღვთისმსახურებისათვის. 1960 წელს, ახალი ბაზილიკის მშენებლობის მიზნით ჩატარებული გათხრების დროს, იატაკის ქვეშ აღმოაჩინეს ბათქაშით მოპირკეთებული და გრაფიკით მოხატ-

ული რამდენიმე ქვის ბლოკი, რომელიც ეკუთვნოდა წინაბიზანტიურ საკულტო ნაგებობას (ჩვენი წელთაღრიცხვით 335-350 წლები). ადგილობრივი იუდეურ-ქრისტიანული თემის მიერ აგებული შენობა შედგებოდა ორი მიმდებარე ოთახისაგან, რომელთაგან პირველი დაახლოებით ერთი მეტრით იყო ამალღებული მეორესთან შედარებით. ეს ორი სივრცე გაყოფილი იყო სვეტებით, რომელიც დამაგრებული იყო წინალობით, რაც პარაპეტის ფუნქციას ასრულებდა. ცენტრალური ნავის მოზაიკის ქვეშ აღმოაჩინეს კლდეში ამოჭრილი კვადრატული ფორმის აუზი, დაახლოებით ორი მეტრის სიგანის, 1,60 მ. სიღრმის, საფეხურებითა და გრავიურებით, რომლებიც გამოსახავდა კიბეებს, ჯვრებსა და ნავეებს, რასაც იუდეურ-ქრისტიანული ინიციაციის მიზნით ნათლობისთვის იყენებდნენ. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი გამოიყენებოდა ღვინის დასაწურად.

მრავალი გრაფიკისა და წარწერის აღმოჩენა ქვის ბლოკებზე, რომლებიც ახლა დაცულია ბაზილიკის გვერდით მდებარე არქეოლოგიურ მუზეუმში, ადასტურებს მორწმუნეთა და მომლოცველთა



მიერ ამ ადგილის და, განსაკუთრებით, ღვთისმშობლის მიმართ თაყვანისცემას. წარწერა შესრულებულია ბერძნულ და სომხურ ენებზე და შეიძლება თარიღდეს I-II საუკუნეებით. სხვადასხვა გრაფიტს შორის არის ერთი, რომელსაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს: მოწოდება XE MAPIA, Kaire Maria-ს შეკვეცილი ფორმა, რაც ნიშნავს „გიხაროდენ, მარიამ“, ეს არის ღვთისმშობლის კულტის უძველესი ეპიგრაფიკული მოწმობა.

ბიზანტიური ბაზილიკა

აღნიშნულ ადგილს V ს-მდე იცავდა და განაგებდა იუდეურ-ქრისტიანული თემი, სანამ იგი არ შეცვალა წარმართული წრის ქრისტიანულმა თემმა, რომელმაც ააგო იმდროინდელი ბიზანტიური სტილის პირველი ბაზილიკა; მათ გააფართოვეს წინა ეკლესია აღმოსავლეთ-დასავლეთის მხრიდან სამი ნავით, წინ ატრიუმი, ხოლო სამხრეთის მხრიდან მცირე მონასტერი. მათ ახალი ეკლესიის შიგნით მოაქციეს ხარების მღვიმე და ასევე მღვიმე სახელწოდებით „di Conone“, სადაც, ფაქტობრივად, შემორჩენილია V ს-ის მოზაიკა, ჯვრებითა და გეომეტრიული მოტივებით, მოზაიკაზე იკითხება ბერძნული წარწერა: „ძღვენი კონონს - იერუსალიმის დიაკონს“. კონონი ნაზარეთიდან იყო და იუდას შთამომავლად მიიჩნეოდა. დღეს ბაზილიკისგან შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე კედელი და მოზაიკის იატაკის ნაწილი. ცენტრალური ნავის იატაკზე გათხრებისას აღმოაჩინეს მოზაიკა ქრისტეს მონოგრამით, ჩასმული გვირგვინში, რომელსაც ქვემოთ მიმაგრებული ჰქონდა ორი ბაფთა და პატარა ჯვრები.

ჯვაროსნული ბაზილიკა

ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდგომ (1099 წ.) გალილეისა და ნაზარეთის სამთავრო ტანკრედი დ'ალტავილას გადაეცა. მან აღადგინა და გააფართოვა ქალაქი, რომაული სტილით ააგო ხარების დიდი ბაზილიკა, რომელშიც მოაქ-

ცია გამოქვაბული. დიდ ბაზილიკას (75x30 მ), სამი ნავისებური თალით, გვერდს უმშვენებდა ეპისკოპოსის სასახლე, რომელშიც განთავსებული იყო მომლოცველთა მისაღები ოთახები და მდიდარი ბიბლიოთეკა. ფაქტობრივად, 1187 წელს ნაზარეთი აშენდა სამიტროპოლიტო საეპისკოპოსოდ სკიტოპოლის მახლობლად. 1263 წლის აპრილში ქალაქი სულთან ბაიბარსმა დაიპყრო: ნაზარეთი დაარბიეს და ჯვაროსნული ბაზილიკა სამუდამოდ გაანადგურეს. განადგურებას გადაურჩა ხარების მღვიმე, რომელიც 1730 წლამდე ჯერ კიდევ რჩებოდა ერთადერთ ხელმისაწვდომ ადგილად ადგილობრივ ქრისტიანთა და მომლოცველთათვის, თუმცა ისინი ვალდებულნი იყვნენ, ხარკი ეხადათ მუსლიმანი მეურვეებისათვის. ამ შთამბეჭდავი და დიდებული ბაზილიკისგან შემორჩენილია მხოლოდ საყრდენი კედლების ნაწილები და ზოგიერთი საყრდენი სვეტი. მხოლოდ 1620 წელს, წმიდა მიწის მცველმა შეძლო, მოეპოვებინა ბაზილიკის ნაშთები; 1730 წელს მიეცა ნებართვა, რომ ხარების მღვიმეზე აღემართა ეკლესია, რომელიც გააფართოვეს



1871 წელს, ხოლო 1955 წელს ამჟამინდელი ბაზილიკის აგების მიზნით დაანგრიეს. სწორედ აქედან დაიწყო ახლანდელი ტაძრის პროექტის შექმნა. ცნობილმა ფრანცისკელმა არქეოლოგმა, კამილო ბელარმინო ბაგატიმ (1905 - იერუსალიმი, 1990), 1955-1969 წლებში ბაზილიკის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული გათხრების შედეგად, აღმოაჩინა ორი წინა ეკლესიის ნაშთები, ერთი ბიზანტიურის და მეორე ჯვაროსნულის, ასევე იუდეურ-ქრისტიანული შენობის ნანგრევები. აღმოჩნდა კიდევ არაერთი მოძრავი თუ თავდაპირველი ადგილიდან გამოყოფილი ელემენტი (მოზაიკის ფრაგმენტები, კაპიტელები, სვეტები). დღეს მათი უმეტესობა იქვე მდებარე ფრანცისკელთა მუზეუმშია დაცული. ახალი ბაზილიკის კურთხევა 1969 წლის 25 მარტს შედგა.

არქიტექტურა

ამჟამინდელი ბაზილიკა თანამედროვე კონსტრუქციისაა, იგი აშენდა 1960-1969 წლებში, იტალიელი არქიტექტორის ჯოვანი მუციოს პროექტით (მილანი, 1893-1982, არქიტექტურის სფეროში მეოცე საუკუნის მხატვრული მოძრაობის ინიციატორი და თვალსაჩინო წარმომადგენელი, თანამედროვე ტრადიციონალისტი, რომელმაც, რაციონალიზმთან მეტოქეობაში, 20-30-იანი წლების იტალიურ არქიტექტურას თავისებური შტრიხები შესძინა). შენობა შედგება ქვედა და ზედა ბაზილიკისაგან, რომლებსაც ერთი ფასადი გააჩნიათ დასავლეთით.

ფასადი

ბაზილიკის მთავარი ფასადის ზედა ნაწილის ცენტრში ქოხისებრი ნიშაა, რომელშიც დგას იესოს ბრინჯაოს ქანდაკება. თეთრი ქვის ბლოკებისაგან შემდგარი ფასადი დაყოფილია ვარდისფერი ქვის ჰორიზონტალური ზოლებით, რომლებზედაც წარმოდგენილია ყვავილების, ფრინველების, ზღვის, ცეცხლისა და ვარსკვლავების მოტივები. მესამე და მეექვსე ზოლზე ამოკვეთილია ანგელოსის სიტყვები ლათინურად: „Angelus Domini nuntiavit Mariae“ (იტალიურად: „უფლის ანგელოზმა ახარა მარიამს“, მეექვსე ზოლზე ქვემოდან) და „Verbum caro factum est et habitavit in nobis“ (იტალიურად: „სიტყვა იქცა ხორცად და დაემკვიდრა ჩვენ შორის“, მესამე ზოლზე). ფასადს ამშვენებს მარიამისა და ანგელოზის (მეექვსე ზოლს ზემოთ) და ოთხი მახარებლის (მესამე ზოლს ზემოთ) რელიეფური გამოსახულებები: მარცხნიდან მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე. ფასადის ორ კიდეზე ამოკვეთილია ციტატები ძველი აღთქმიდან. ქვემოდან მესამე ზოლი აღნიშნავს ზედა ბაზილიკის იატაკისა და ქვედა ბაზილიკის ჭერის მდებარეობას. მის ქვემოთ პორტიკი იხსნება სამი შესასვლელით ქვედა ეკლესიაში. პოლიქრომული მოზაი-



კის ჭერის ქვეშ განთავსებულია სამი ბრინჯაოსა და სპილენძის კარი, რომლებზედაც გამოსახულია სცენები იესოს ცხოვრებიდან (ცენტრალური კარი), ადამი და ევა, წარღვნა, ნოე და აღთქმა აბრაამთან (მარცხენა კარი) და იონას ამბავი (მარჯვენა კარი). ქვედა ბაზილიკას უკავშირდება მთავარი ფასადის სამი პორტალით. უზარმაზარი შიდა სივრცე, რომელიც უფრო განიერი და გრძელია, ვიდრე მაღალი, დაყოფილია სამ ნავად ბეტონის სვეტებით; ყველაზე დიდია ცენტრალური. გვერდითა და უკანა კედლების გასწვრივ სხვადასხვა ზომის სამლოცველოა. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს ჯვაროსნების მიერ აშენებული რომაული ეკლესიის აბსიდს. ასევე უკანა კედელზე, ზედა ბაზილიკის მთავარ საკურთხეველთან მოთავსებული ჯვარცმის თანამედროვე სამლოცველოა.

პრესვიტერიუმი უფრო დაბლაა განთავსებული, ვიდრე ქვედა ბაზილიკის იატაკი და იქ ორი კიბით ჩავდივართ. ის შედგება ცენტრალური კვადრატული სივრცისგან საკურთხეველით, რომელიც გარშემორტყმულია ნახევრად მრგვალი ექსედრით (ნიშით), სადაც განთავსებულია მერხები. საკურთხეველის უკან არის ხარების მღვიმე, მთელი ტაძრის ცენტრი. ხარების მღვიმე ტრადიციულად იდენტიფიცირებულია მარიამის სახლთან. მიიჩნევენ, რომ სახლი შედგებოდა კლდეში გამოკვეთილი ნაწილისაგან (გამოქვაბული) და ნაწილობრივ თლილი ქვისაგან. ეს უკანასკნელი არ შემორჩა: ტრადიციის მიხედვით, 1291-1294 წლებში სახლი გადაიტანეს ლორეტოში, მარკეს რეგიონში, სადაც ინახება წმიდა სახლის ბაზილიკაში. ამჟამად მღვიმის შიგნით განთავსებულია ძველი ეკლესიის ბაროკოს საკურთხეველი და თანამედროვე ტაბერნაკულუმი.

ზედა ბაზილიკა

მარიამისადმი მიძღვნილ ზედა ბაზილიკაში შესვლა შესაძლებელია ორი კარიბჭის მეშვეობით, რვანახნაგოვანი ბაპტისტერიუმის გვერდით მდებარე შენობის მარცხენა მხრიდან. ზედა ბაზილიკა, ისევე როგორც ქვედა, ბეტონის სვეტებით იყოფა



საბანგებო ჩანართი

სამ ნავად, რომლებიც ერთიანდება ერთ რვაკუთხა სივრცეში, რომელიც დაფარულია დიდი გუმბათით. ფასადის საპირისპირო კედელზე პოლიქრომული მინის ვიტრაჟია, რომელიც დამონტაჟებულია ფასადის ოცდაოთხი, ვიწრო, ერთნათიანი სარკმლის შიგნით და ქმნიან ერთ სამკუთხა კომპოზიციას. ხოლო გვერდითა დარბაზის კედლებზე სხვადასხვა ქვეყნის მიერ შენირული ღვთისმშობლის მოზაიკური გამოსახულებებია.

გუმბათი ფარავს ნავებსა და აფსიდას შორის მოთავსებულ სივრცეს, სადაც იატაკზე იშლება დიდი რვაკუთხედი, რომელიც ქვემოთ მდებარე ხარების მღვიმის ხილვის საშუალებას იძლევა. გუმბათი მთავრდება ჯვრით დაგვირგვინებული მასიური შუქურით, რომლის სიმაღლე 66 მეტრს აღწევს. გუმბათის სივრცის მიღმა, ცენტრალური დარბაზის ღერძზე, იშლება ოთხკუთხა აფსიდა პირამიდული სახურავით. მასში მოთავსებულია მთავარი საკურთხეველი და ტაბერნაკულუმი. უკანა კედელი მთლიანად დაფარულია მხატვარ სალვატორ ფიუმეს (მილანი, 1915-1997) 140 კვ. მეტრის მოზაიკით, რომელზეც გამოსახულია ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

აფსიდის გვერდებზე განთავსებულია სამლოცველოები, მარცხნივ მდებარე ეძღვნება წმიდა ფრანცისკე ასიზელს და წმიდა მინის კუსტოდიის (ლათ. Custodia Terae Sanctae - ფრანცისკელთა ორდენის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ოლქი) ნამუშევრებს, ხოლო მარჯვნივ - წმიდა ევქარისტიას, თანამედროვე მოზაიკებს, რომლებზეც



გამოსახულნი არიან ეკლესიის მასწავლებლები, წმიდანები, პაპი პავლე VI და მართლმადიდებელი პატრიარქი ათენაგორა. კედლების გასწვრივ განთავსებულია კერამიკული ჯვრის გზის (via crucis) თოთხმეტი შეჩერება და ღვთისმშობლის მოზაიკური პანოები, რომლებიც წარმოადგენს მარიამის კულტს მსოფლიოს მთავარ ტაძრებში. 2021 წელს ასევე დამზადდა ორი ორგანი, რომელთაგან ერთს 50 რეგისტრი აქვს.

მთლიანობაში ეკლესიაზე გავლენას ახდენს ეპოქა, რომელშიც ის აშენდა; იგი შთამბეჭდავია, მაგრამ მძიმეა გამოყენებული მასალების გამო; დღეს ალბათ სხვაგვარად და სხვა მასალებით აშენდებოდა, რათა უკეთ გამოკვეთილიყო ბაზილიკის ცენტრი: ხარებისა და უფლის განკაცების მღვიმე. რასაკვირველია, ის მაინც რჩება იმ ნამუშევრად, რომელიც შეეცადა, ამ წმიდა ადგილის ისტორია შემოენახა.



სამარხვო კერძები: რა მოვამზადოთ მარხვის დროს?

ჩვენს რაციონალურ და მეცნიერულ ეპოქას, რომელიც გაჯერებულია შოკისმომგვრელი, შემადრწუნებელი კატასტროფებისა და უბედურებათა შესახებ უხვი ინფორმაციით, ძალიან აკლია სასწაული, რომელსაც მოაქვს სიკეთე, სიხარული და სულიერი სიმშვიდე. ჩვენ გვაზივნი, რომ ეს სასწაული ყოველთვის ჩვენთანაა, ჩვენშიც კი, მას გვიძღვის ღმერთი სინანულის მეშვეობით, როდესაც ვცდილობთ ჩვენი ცხოვრების შეცვლას ღვთის ნების შესაბამისად. შინაგანი ცვლილება შესაძლებელია მარხვის, მონაწილეობისა და ლოცვის საშუალებით. ტრაპეზის დაწყებამდე განსაკუთრებით ვილოცოთ მათთვის, ვისაც სუფრაზე პურიც არ მოეპოვება, მოვამზადოთ ზომიერი რაციონი, ხანდახან ერთი ულუფით მეტი და გავუზიაროთ უპოვართ.

გთავაზობთ გემრიელი სამარხვო კერძის ერთ-ერთ რეცეპტს:

სოკოს კატლეტი


შემადგენლობა

100 გრ ხმელი თეთრი სოკო (შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვა სოკო, მაგალითად, შამპინიონი), 1 ჭიქა ბრინჯი, 2-3 სუფრის კოვზი ფქვილი, 0, 2 გრ. მუსკატის კაკალი, ოხრახუმი და მარილი გემოვნებით, მზესუმზირის ზეთი (შესაწვავად).



მომზადება

სოკო მოხარშეთ წყალში და წვრილად დაჭერით. მოხარშეთ ბრინჯი მარილიან წყალში ოხრახუშთან ერთად, შეურიეთ სოკო და დაუმატეთ მუსკატის კაკალი. სასურველია, მიღებული მასა დააქუცმაცოთ (მაგალითად, ბლენდერში). მიეციეთ ფორმა კატლეტებს, მსუბუქად მოაყარეთ ფქვილი ან სათითაოდ ამოავლეთ ათქვეფილ კვერცხის ცილაში, შეწვით ზეთში. სუფრაზე მიტანისას მოასხით სოუსი.



შამპინიონის სოუსი

შემადგენლობა

200 გრ ახალი შამპინიონი, 1-1,5 ჭიქა წყალი, 1/2 ლიმონის წვენი ან 1/2 სუფრის კოვზი სუფრის ძმარი, 2 ნაჭერი მარგარინი, 2 სუფრის კოვზი ფქვილი, მარილი.



მომზადება

ღრმა ტაფაზე შეწვით ფქვილი იქამდე, სანამ არ მიიღებს ყავისფერს, შემდეგ გადმოყარეთ ლამბაქზე. დაჭერით სოკო წვრილად ან გახეხეთ თხლად (შეიძლება დააქუცმაცოთ ბლენდერში). დადეთ ტაფაზე კარაქის პატარა ნაჭერი, დააყარეთ სოკო და დაასხით ნახევარი ლიმონის წვენი. ხარშეთ 3-5 წუთის განმავლობაში. დაასხით წყალი. გააძნეთ კარაქის მეორე ნაჭერი და შეურიეთ ფქვილს. დაასხით რამდენიმე სუფრის კოვზი ბულიონი და კარგად აურიეთ, ისე რომ, არ გაუჩნდეს ბურთულები.

ფქვილის მასა სოკოსთან ერთად დაამატეთ მდუღარე ბულიონს და მოურიეთ. მარილი გემოვნებით. ხარშეთ დაბალ ტემპერატურაზე 2-5 წუთის განმავლობაში.

ერთგვარი პასტისებრი სოუსის მისაღებად მზა სოუსი შეიძლება საცერში განუროთ.

თუ სოკო საკმარისი არ არის, მაინც თამამად შეგიძლიათ მოამზადოთ სოუსი, საკმაოდ გემრიელი იქნება!

ქალმა უარი თქვა აბორტზე და ბაზრინა ტყუპები; დღეს ისინი მღვდლები არიან



ულტრაბგერის შედეგები შემაშფოთებელი იყო, მაგრამ ქალს სურდა, მორჩილებით მიეღო ღვთის ნება.

რას გააკეთებდით თქვენ, თუ გეტყოდნენ, რომ ბავშვს, რომელსაც გულის ქვეშ ატარებთ, ორი თავი და ზედმეტი კიდურები აქვს? ან თუ ექიმებმა გირჩიეს, რომ აუცილებლად უნდა გაიკეთოთ აბორტი, რადგან ეს ორსულობა საშიშია თქვენთვის?

სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა ჩილეელი როზა სილვა 1984 წელს; მან გადაწყვიტა, უარი ეთქვა აბორტზე და მიეღო „ყველაფერი, რასაც ღმერთი უგზავნიდა“. ჩილეს ვალპარაისოს ეპარქია როზას ამ გადაწყვეტილებას უნდა უმადლოდეს ორ მღვდელს - ტყუპ ძმას, მამა პაულოსა და მამა ფილიპე ლიზამას.

ტყუპების არაჩვეულებრივი ამბავი 2013 წელს, მათი ხელდასხმიდან ერთი წლის შემდეგ გავრცელდა კათოლიკური ახალი ამბების მიმოხილვაში. დღეს ძმები, თავიანთი მღვდლობის მერვე წელს, ენთუზიზმით აგრძელებენ მსახურებას და სოციალურ ქსელებს ევანგელიზაციისათვის იყენებენ. 36 წლის წინ მათი მშობლები, როზა და უმბერტო, ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ მათ ოჯახში დაიბადებოდა სავსებით მსგავსი ტყუპი, რომლებიც შემდგომ გახდებოდნენ მღვდლები, აღასრულებდნენ წმიდა წირვას და Facebook-ის მეშვეობით გადასცემდნენ პირდაპირ ეთერში. როდესაც როზამ შეიტყო, რომ ორსულად იყო, მაშინვე ქალთა კონსულტაციას მიმართა; ულტრაბგერის შედეგები ექიმს შემაშფოთებელი ერვენა, მან შეამჩნია, რომ ნაყოფი ვითარდებოდა მძიმე

დარღვევებით (აღწერის მიხედვით თუ ვიძსჯელებით, უიმედოდ შეერთებულ სიამის ტყუპებს ჰგავდა), რაც იმას ნიშნავდა, რომ ორსულობის გაგრძელებას შეიძლება როზას სიცოცხლისთვის საფრთხე შეექმნა. ექიმმა საკითხის გადასაჭრელად ქალს „თერაპიული აბორტი“ ურჩია.

„მათ დედაჩემს უთხრეს, რომ აბორტი უნდა გაეკეთებინა..., მაგრამ დედამ არ მოისურვა. მან აირჩია სიცოცხლე, თუმცა იმ დროს აბორტი დაშვებული იყო (ჩილეში კანონიერი იყო „თერაპიული“ აბორტი; ის არაკანონიერად გამოცხადდა 1989 წელს, 2017 წელს კი კვლავ ნებადართული გახდა), მაგრამ მის საკუთარ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა“, - განაცხადა მამა პაულომ „Religión en Libertad“-თან საუბრისას.

მამა ფილიპემ „Atiprens“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მათ არ იციან, ექიმები შეცდნენ ულტრაბგერის შედეგების განმარტებაში თუ ღმერთი ჩაერია ორსულობის დროს ისე, რომ ჯანმრთელი ტყუპები დაბადებულიყვნენ. „როგორც არ უნდა ყოფილიყო მიზეზი, - ამბობს მამა პაულო, - ყოველთვის განსაკუთრებულად თბილი და სათუთი გრძნობა მეუფლება, როცა ვფიქრობ დედაჩემზე, რომელიც მზად იყო სიცოცხლე მოეცა ჩვენთვის“.

1984 წლის 10 სექტემბერს ტყუპები ჯანმრთელები დაიბადნენ, 17 წუთის სხვაობით (ფილიპე ძმაზე უფროსია). მათ ჰყავთ ოთხი წლით უფროსი და, პაოლა. გზა დაბადებიდან მღვდლობამდე სულაც არ იყო იოლი. თუმცა ფილიპე და პაულო კათოლიკური რწმენით იზრდებოდნენ, დროდადრო ფეხბურთით მათი უსაზღვრო გატაცება სძლევდა ხოლმე საკვირაო წირვაში მონაწილეობის სურვილს. როცა ბიჭებს 14 წელი შეუსრულდათ, მათი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ. ამ ამბის შემდეგ ფილიპე და პაულო უფრო მეტხანს დაყოფდნენ ხოლმე ეკლესიაში, მონაწილეობდნენ სხვადასხვა ღონისძიებაში; „ჩვენს ქალაქში სხვა არაფერი იყო ისეთი, რითაც დაკავდებოდით“, - აღნიშნეს მათ „Religión en Libertad“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. 16 წლის ასაკში ძმებმა შეწყვიტეს ფეხბურთის თამაში და კიდევ უფრო მეტად ჩაერთნენ ეკლესიის ცხოვრებაში (თუმცა დღესაც სპორტის მსურველად თაყვანისმცემლები არიან),

ხოლო როცა 18 წელი რომ შეუსრულდათ, სემინარიში შევიდნენ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ ერთად მიიღეს მღვდლად გახდომის გადაწყვეტილება; გავრცელებული აზრის მიხედვით, ტყუპები ერთმანეთს უზიარებენ ყველა საიდუმლოს. თუმცა, ძმები ამბობენ, რომ თავიანთი მონოდეების შესახებ არ ამხელდნენ, რადგან არ სურდათ, გავლენა მოეხდინათ ერთმანეთზე ასეთი მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილების დროს. თითოეული საკუთარი გზით მივიდა მღვდლობამდე, თუმცა შედეგი ერთნაირი იყო. „Atiprens“-თან საუბრისას მამა პაულომ აღნიშნა: „არ ვიცი, რომელმა ჩვენგანმა იგრძნო პირველად მონოდება. ვფიქრობ, ღმერთმა კარგად იზრუნა იმაზე, რომ მისდამი ჩვენი პასუხის თავისუფლება დაეცვა“. მამა პაულომ თავისი ხელდასხმის დღეს განაცხადა: „ჩვენ ერთმანეთს გავუზიარეთ საერთო გამოცდილება და საერთო მონოდება, გავყოლოდით იესოს, რათა გაგვეზიარებინა იგი სხვებისთვის“.

მღვდლად გახდომის მონოდებაზე საუბრისას მამა ფილიპე დასძენს: „ღმერთი არ ხუმრობს. მას სურს, რომ ჩვენ ბედნიერები ვიყოთ, მღვდლობა კი მშვენიერი მონოდებაა, რომელიც სავსებით გვაბედნიერებს“.

მამა პაულო აღნიშნავს: „იესოს, ეკლესიასა და სამყაროს ვჭირდებით ჩვენ. მაგრამ მათ სჭირდებათ არა უბრალოდ ნებისმიერი ახალგაზრდა, არამედ ადამიანი, რომელიც თავის თავში ატარებს ღვთის ქვეყნარტების ძალას, ისე რომ, მისი ცხოვრება ასხივებს სიცოცხლეს, მის ღმილში კრთის იმედი, მის თვალებში ბრწყინავს რწმენა და ყოველი მისი ქმედება გამოხატავს სიყვარულს“.

დედის სიმამაცის ამბავი, როცა იგი მათზე ორსულად იყო, ტყუპებმა მხოლოდ სემინარიის მეექვსე კურსზე შეიტყვეს. მათი სიცოცხლის დასაწყისს მომხდარ ამ მოვლენებს ისინი განიხილავენ როგორც წინასწარ განსაზღვრულს: ღმერთმა მათ თავიდანვე მოუწოდა და მათი დედის სიყვარულისა და გულუხვობის წყალობით კი ეს მონოდება განხორციელდა. მამა პაულო დასძენს: „როგორ არ დავიცვათ სიცოცხლე? როგორ არ უნდა ვიქადაგოთ სიცოცხლის ღმერთი? ამ მოვლენამ ბიძგი მისცა ჩემს მონოდებას, მისცა მას განსაკუთრებული სიცოცხლის უნარი... დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი, რისიც მწამს, ვინც ვარ და რასაც ვამბობ, ღვთის აშკარა მადლია“.

2012 წლის 28 აპრილს, ათნლიანი სწავლისა და მომზადების შემდეგ, ძმები მღვდლად აკურთხეს ვალპარაისოს საკათედრო ტაძარში (Catedral de Valparaiso).

მამა პაულო აღნიშნავს, რომ მღვდლად გახდომის შემდეგაც კი ისევ ისე ხუმრობენ, როგორც ტყუპებს სჩვევიათ: „ხალხი ერთმანეთისაგან ვერ გვარჩევს და ხშირად ჩემს ძმად მომაქვს თავი. ყველაზე სა-

საცილო კი მათი რეაქციაა. ეს ტყუპების სიცვლეკა, „უპირატესობა“, და არ შეგვიძლია, რომ ამით არ ვისარგებლოთ. გარდა ამისა, შევნიშნე, ადამიანთა უმეტესობა ვერც კი ამჩნევს, რომ ერთი ჩვენგანი ცაციაა“.


დღეს ძმების მსახურება ნანილობრივ სოციალურ ქსელებსაც მოიცავს. მათი შეტყობინება ფეისბუქზე, ინსტაგრამსა და ტვიტერზე სავსეა სიხარულით, რომლითაც ისინი აღასრულებენ სამღვდლო მსახურებას, მშვენიერია მათი იუმორის გრძობა, ერთმანეთთან და ოჯახთან სიახლოვე და ფეხბურთის სიყვარული.

შეუცნობელია გზანი უფლისანი. როზა და უმბერტო ლიზამა რთული არჩევანის წინაშე დადგნენ; მათ შეეძლოთ აერჩიათ აშკარად უფრო იოლი გზა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ღვთის კანონს (აბორტი), მაგრამ, ნაცვლად ამისა, არჩიეს, მინდობოდნენ ღმერთს, დაეფასებინათ და მიეღოთ ცხოვრება, რაც არ უნდა რთული ყოფილიყო ის. ამიტომაც მოისურვა ღმერთმა, ეკურთხებინა ისინი მათი ერთგულებისთვის და მადლი მოელო თავის ეკლესიაზე. დაე, უფალი ყოველ ჩვენგანს მუდამ აძლევდეს მადლსა და ძალას სწორი არჩევანის გასაკეთებლად. ცხადია, ღმერთი ყოველთვის გვაკურთხებს, ვამჩნევთ ჩვენ ამას თუ არა.

Catedral de Valparaiso ვალპარაისოს საკათედრო ტაძარი



საქართველოს ისტორიის მემატიანე სოლომონ ასლანიშვილი და მის ნაწარებში აღბეჭდილი კათოლიკური მემკვიდრეობის ფაქტები



სოფლებში: ბავრაში, ხულგუმოში, კარტიკამში, ტურცხში. სოლომონმა განათლება მიიღო ახალციხის ქართულ კათოლიკურ სკოლაში, სადაც მისი პედაგოგი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე გვარამიძე. ერთხანს ამავე სკოლაში მასწავლებლობდა. 1878 წლის რუსეთ-თურქეთის ომი ჯერ დასრულებულიც არ იყო, როცა სოლომონ ასლანიშვილმა არტაანის ფოსტაში დაიწყო მუშაობა. მისი უმთავრესი სურვილი იყო, დახმარებოდა ახლად შემოერთებულ ისტორიულად ქართულ მიწებზე ადგილობრივ ქრისტიან და მუსლიმ ქართველებს, რათა უმტკივნეულად შეგუებოდნენ სამშობლოში დაბრუნებას. ორმოციოდე წლის შემდგომ ეს მხარე, ბოლშევიკური რუსეთის ჩარევით, ისევ თურქეთის საზღვრებში აღმოჩნდა. ამ სამწუხარო მოვლენის მომსწრე მსცოვანმა სოლომონ ასლანიშვილმა დიდი იმედგაცრუება და ტკივილი განიცადა. ამავე პერიოდში, არტაანში მუშაობის დროს, იგი ბავრელის ფსევდონიმით იწყებს თანამშრომლობას ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. პატრიოტული მოღვაწეობის გამო სოლომონი არტაანიდან დაითხოვეს, ფაქტობრივად, ჯულფაში გადაასახლეს. პენსიაზე გასვლის შემდგომ, გასული საუკუნის 20-იან წლებში, იგი თბილისის ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იყო.

სოლომონ ასლანიშვილი ჯავახეთის მხარის სოფელ ბავრიდან იყო, სადაც მისი წინაპრები არტაანის სოფელ ველიდან გადმოსახლდნენ. 1595 წლის ოსმალური აღწერით, ველი იყო ქართველი კათოლიკეებით დასახლებული ერთადერთი სოფელი, რომლის მოსახლეობამ კათოლიკური აღმსარებლობით შეინარჩუნა ქართველობაც და ქრისტიანობაც; ვინაიდან ოსმალეთში მართლმადიდებლური ეკლესია სრულიად ბერძენი სასულიერო პირებით იყო დაკომპლექტებული და კონსტანტინოპოლის პატრიარქს ემორჩილებოდა, მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე დარჩენა მრევლის გაბერძნებას გამოიწვევდა. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ ველის მოსახლეობის ნაწილი გადმოსახლდა ჯავახეთის

1878 წელს, როდესაც სოლომონ ასლანიშვილი ართვინის მხარეს ესტუმრა, როგორც საგანგებო კორესპონდენტი, თავისი თვალთ ნანახს აღწერდა და სისტემატურად აქვეყნებდა ჟურნალ „ივერიაში“. 900-იანი წლებიდან კი სტატიებს აქვეყნებს ასევე ქართულ კათოლიკურ ჟურნალში „ჯვარი ვახისა“. მის წერილებში შეუღამაზებლად აღიბეჭდა ის რეალური ვითარება, რაც სუფევდა ისტორიულ ქართულ მიწაზე, რომელიც მანამდე, თითქმის 300 წელი, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო და ეთნიკურად ქართველი, თუმცა თავისი ნებით გამუსლიმებული მესხი თავად-აზნაურობის - ბეგების მეშვეობით იმართებოდა. ართვინის ოლქში, ისევე როგორც მთელ ამ მხარეში, მოსახლეობა საკმაოდ ჭრელი იყო:

ქართველები, ლაზები, სომხები, ბერძნები, ჰემ-შილები, ქურთები და ეთნიკური თურქები, რომლებიც სინამდვილეში უმცირესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ რადგან ოსმალეთში რელიგია განსაზღვრავდა ადამიანების თვითიდენტიფიკაციას, თურქებს (ქართულ და რუსულ წყაროებში თათრებს) უწოდებდნენ მუსლიმ ქართველებსაც, ჰემშილებსაც, კრიპტოსომხებსაც. მოსახლეობის ქრისტიანულ ნაწილს ამ პერიოდისათვის შეადგენდნენ მართლმადიდებელი ბერძნები, სომხური ეკლესიის მრევლი და ლათინური და სომხურის წესის კათოლიკეები. ეთნოსების პროცენტული გადანაწილება ამგვარი იყო, შავი ზღვის რეგიონის ზოგიერთ სანაპირო ქალაქში მოსახლეობის თითქმის 40% ქრისტიანი იყო (ბერძენი მართლმადიდებლები, სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი და „ფრანგები“ ანუ კათოლიკეები). მოსახლეობასაც მშობლიური ენა კარგად ჰქონდა შენარჩუნებული, თვით გათურქებული ქართველებიც ოჯახში ქალებთან საუბრის დროს ქართულ ენას იყენებდნენ. თუმცა რჯულშეცვლილი ქართველები და სომხები კატეგორიულად ემიჯნებოდნენ თავიანთ წარმომავლობას და ოსმალებზე უფრო მეტად თურქობდნენ, რასაც ვერ ვიტყვით აჭარლებსა და იმერხეველებზე, მთიან ზონაში მცხოვრებ ქართველებსა და სომხებზე, სადაც ქართველები დღემდე ინარჩუნებენ მშობლიურ ენას, ხოლო ჰემშილების ფოლკლორში უხვადაა შემონახული სომხური ელემენტები.

1878 წელს ვითარება, რისი მომსწრეც სოლომონ ასლანიშვილი გახდა, ამგვარი იყო: ქართველ და სომეხ კათოლიკეებს, რომლებიც კომპაქტურად ცხოვრობდნენ, კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდათ. სავარაუდო ასიმილაციის ნიშნებიც სახეზეა, მაგრამ ქართული ელემენტი შენარჩუნებული იყო. აი, რას წერს სოლომონ ასლანიშვილი თავის ერთ-ერთ პირველ პუბლიკაციაში: „ართვინელი ფრანგები (იგულისხმებიან კათოლიკეები), რომლებიც ლაპარაკობენ სომხურად, მაგრამ ურევენ ბევრ ქართულ სიტყვას“. კათოლიკეთაგან განსხვავებით კი, „თათრები (ავტორი მუსლიმ მესხებს

გულისხმობს) ახალციხის საათაბაგოდან არიან გადმოსახლებულნი, მაგრამ ქართული ენა სრულე-ბით დავინწყებელი აქვთ“. ართვინისა და არდაჰანის სოფლებში მოგზაურობისას სოლომონ ასლანიშვილი აგვიწერს სხვადასხვა ნასოფლარებში მის მიერ ნაპოვნ საფლავის ქვებსაც, რომლებზეც ქართულ ენაზე შესრულებული ეპიტაფიებია, არაერთ ამგვარ ქვაზე უნახავს ამოკვეთილი ქართული წარწერა, მათ შორის, პატრების სახელებით. მნიშვნელოვანია ქალაქ ართვინის აღწერა: „მცხოვრებთა რიცხვი ართვინში ავა ათას ხუთასამდე. მომეტებული ნაწილი მცხოვრებლებისა არის ფრანგები, იმათზე ნაკლები თათრები და სომხები. ფრანგებს აქვთ ოთხი ეკლესია, ერთი იმათგანი არის საეპისკოპოსო. სომხებს ერთი ეკლესია აქვთ, თათრებს - ორი ჯამი. ფრანგების ერთ ეკლესიაში არის სასწაულმოქმედი ხატი, დარჩენილი ძველად ქართველებისაგან (იგულისხმება ქართული მართლმადიდებლური)“. სოლომონ ასლანიშვილი თავის წერილებში არა მხოლოდ ოსმალეთიდან შემოერთებული ქართული მხარის ცოცხალ სურათს წარმოგვიდგენს, არამედ ანალიზებს იმ მიზეზებს, რამაც გამოიწვია ამ მხარის სწრაფი დაცლა ადგილობრივი მოსახლეობისგან და რაც რუსეთის ხელისუფლების გეგმის ნაწილიც იყო. უპირველესად, რუსი მოხელეების მიერ ადგილობრივების შევიწროება და ჩაგვრა, რაც ვლინდებოდა ყოველდღიურ ურთიერთობებში მექრთამეობის, ყაჩაღობის ზრდისა და, რაც მთავარია, ოსმალეთთან ვაჭრობის ჩაკეცილობით. ქალაქებში მკვიდრი კათოლიკეების დიდი ნაწილი სწორედ ხელოსანთა და ვაჭართა კლასს მიეკუთვნებოდა. ოსმალეთთან ვაჭრობის ჩაკეცივამ და ხელისუფლების მიერ ხელშეწყობილი რუსული ნაწარმის შემოდინებამ მძიმე ეკონომიკურ კრიზისში ჩააგდო ადგილობრივი, ჩანასახში მყოფი ბურჟუაზია და დაიწყო მასობრივი გადასახლება ოსმალეთში: „გადამსახლებლების ქარავანი თანდათან მატულობს. თითქმის აჭარის, იმერხევის ნახევარი წავიდა, არდანუჯიც იცლება, არტაანი ხომ დიდი ხანია დაიცალა... თათრების გარდა, სომხებიც გადიან ართვინიდან და ფრანგებიც. ამათ სრული საფუძველი აქვთ გადასახლებისა. მაშ, რა ქნან, თუ ღმერთი გნამს?“ რუსეთის იმპერიის ინტერესს წარმოადგენდა ტაო-კლარჯეთის დაცლა ადგილობრივი მოსახლეობისაგან, მათ შორის, კათოლიკეთაგან, და მათ ადგილზე იმპერიისადმი ლოიალურად განწყობილი მოსახლეობის ჩასახლება. ეს პროცესი დაიწყო კიდეც, თუმცა პირველი მსოფლიო ომის შედეგად გამოწვეულმა დიდმა კატაკლიზმმა ყველაფერი შეცვალა და, სამწუხაროდ, ამ მხარეში, ტრაპზონის გარდა, დღეს მოქმედი კათოლიკური ტაძარი აღარსადაა.



ნუბხარ ბარდაშვილიძე
სულხან საბა ორბელიანის უნივერსიტეტის პროფესორი

შვიდასი წლისთავი დანტე ალიგიერის დაბადებიდან



მამრძელება, დასაწყისი „საბუ“ № 01 (313) 2022

სამშობლოდან გაქვების ეტაპები:

ა) გაქვება პირველი: ფორლისა და ლუნიჯანას შორის (1304-1310)

ლასტრას ბრძოლის შემდეგ დანტე რომანიას (Romagna) დიდგვაროვანი ოჯახების სტუმარი გახლდათ: თავიდან მცირე ხნით გაჩერდა ფორლიში, საიდანაც გადავიდა ჯერ ბოლონიაში (1305), შემდეგ კი პადუაში (1306 წ.). შემდგომ გაჩერდა ლუნიჯანაში, აქ იგი (1306 წლის გაზაფხულზე) მოროელო მალასპინამ მიიხმო, რასაც დანტე მოგვიანებით აღნიშნავს *სალხინებლის VIII საგალობელში* „... და გეფიცებით ზეცად აღსვლის ურყევ ნადილსა... თქვენი გვარისა ნაშიერნი გზასა მართალსა არ ასცდებიან ბინიერის უკუმგდებელნი“ (თარგმ. კ. გამსახურდიასი).

ბ) გაქვება მეორე: კაზენტინოში (ხეობა, სადაც მდინარე არნოს პირველი ნაკადი მოედინება, არეცოს პროვინციაში) იგი გრაფი გვიდების (Guidi) სტუმარია, სწორედ აქ შუდგა იგი *ჯოჯოხეთის საგალობლების* წერას.

კაზენტინოში ცოტა ხანს დაყო: 1308-1310 წლებში, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პოეტი ცხოვრობდა

ჯერ ქალაქ ლუკაში, შემდეგ პარიზში; მეტი ალბათობით, 1310 წლისთვის იგი იმყოფებოდა ფორლიში, სადაც ოქტომბერში ახალი იმპერატორის, ჰენრი VIII-ის იტალიაში შესვლის ამბავი შეიტყო, რასაც დანტე დიდი იმედით უყურებდა, რამდენადაც ეს მიაჩნდა არა მხოლოდ იტალიის პოლიტიკური ანარქიის დასასრულად, არამედ ფლორენციაში დაბრუნების რეალურ შანსად, რაზეც იტალიელი გიბელინები და გაქცეული პოლიტიკოსი გველფები ოცნებობდნენ. ამ კავშირმა უბიძგა პოეტს, დაახლოებოდა ერთ იტალიურ ფრაქციას, რომელსაც ვერონელი სკალიგერები (Scaligeri) მეთაურობდნენ. დანტემ თავისი იმპერიული სიმპათიები გამოხატა *De Monarchia*-ში, რომელსაც 1308-1311 წლებში წერდა: სწორედ ამ სიმპათიებმა უბიძგა პოეტ უგო ფოსკოლოს, რომ დანტესთვის ეწოდებინა *გაქცეული გიბელინი*. დანტეს ეს ოცნება დაიმსხვრა 1313 წლის 24 აგვისტოს, როდესაც იმპერატორი უეცრად გარდაიცვალა ბუონკონვენტოში.

გ) გაქვება მესამე: ვერონული ცხოვრება (1313-1318)

იმპერატორის უეცარი გარდაცვალების ამბის ფონზე, გრაფმა კანგრანდე დელა სკალამ დანტე თავისთან საცხოვრებლად მიიწვია ვერონაში (აქ

ადრეც იყო სტუმრად, რამდენიმე თვით, 1303-1304 წლებში, ბართოლომეო დელა სკალასთან, კანგრანდეს უფროს ძმასთან). ბართოლომეოს გარდაცვალების შემდეგ, 1304 წლის მარტში, დანტე იძულებული გახდა, დაეტოვებინა ვერონა, რადგან მის მემკვიდრეს, ალბონოს კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა პოეტთან. ალბონოს გარდაცვალების შემდეგ (1312) დანტე კვლავ დაბრუნდება ვერონაში შვილებთან, ძმა კანგრანდესთან, იტალიელი გიბელინების მეთაურებთან და თავის მფარველთან (და არა მხოლოდ მეგობართან) ერთად. ამ მეგობრობასა და პატივისცემას დანტე ხოტბას შეასხამს „სამოთხის“ საგალობელში, კაჩაგვიდას, თავისი დიდი წინაპრის პირით (სამოთხე, XVII, მ. 70-75, 85-90 - მისი ძირითადი ნაწილი სწორედ ვერონაში ყოფნის დროს დაინერა. 2018 წელს, ვერონის უნივერსიტეტის პროფესორმა, პაოლო პელეგრინიმ აღმოაჩინა ახალი წერილი, თავად დანტეს მიერ დაწერილი 1312 წლის აგვისტოს, რომელიც კანგრანდემ ახალ იმპერატორ ჰენრი VII-ს გადაუგზავნა: ამ წერილით ირკვევა, რომ პოეტი ვერონაში 1312 წლისთვის უნდა ჩასულიყო და გამორიცხავს ვარაუდს, რომ დანტეს 1312-1316 წლებში იხმობდნენ პიზაში ან ლუნიჯანაში).

დ) *გაძევება მეოთხე*: ცხოვრება და სიკვდილი რავენაში (1318-1321)

გაურკვეველ მიზეზთა გამო დანტემ დატოვა ვერონა (შესაძლოა პოლიტიკური დავების გამო, რომელიც მას კანგრანდმა დააკისრა) და 1318 წელს ჩავიდა რავენაში, გრაფ გვიდო ნოველო პოლენტელის სასახლეში. თუმცა ვერონასთან კავშირი სრულად არ გაუწყვეტია, რასაც მოწმობს 1320 წლის 20 იანვარს დანტეს ყოფნა ვენეტოს ქლაქში, სადაც მან საუბარი გამართა თავის ბოლო ლათინურ ნაშრომზე *Queaestio de aqua et terra* (წყლისა და მიწის საკითხი). თავისი ცხოვრების ბოლო სამი წელი დანტემ შედარებით მშვიდ გარემოში გაატარა, ლიტერატურულ სალონებსა და პოლიტიკურ სადესპანოებში, ასეთი იყო მისია ვენეციაში, რათა დაემშვიდებინათ დოჟი, რომელიც მრისხანებდა მის გემებზე რავენული გალეების (გალეა - ტიპური სამხედრო ხომალდი) მუდმივი თავდასხმების გამო.

რავენას უსაფრთხოების თვალსაზრისით, დანტეს დესპანობამ კარგი შედეგი გამოიღო, თუმცა

ეს მისია თავად პოეტისთვის საბედისწერო აღმოჩნდა: ლაგუნადან უკან დაბრუნების დროს, ჭაობიან ხეობებში გავლისას, მას მალარია შეეყარა და 56 წლის ასაკში იგი ციებ-ცხელებას შეენირა. 1321 წლის 13-14 სექტემბრის ღამეს დანტე რავენაში გარდაიცვალა. რავენას სან პიერ მაჯორეს (დღეს უკვე სან ფრანცისკეს) ეკლესიაში გაიმართა პოეტის პანაშვიდები, ქალაქის უმაღლესი ხელისუფლებისა და შვილების თანდასწრებით.

ა) დანტეს „სამარხები“

დანტეს ცხედარი თავდაპირველად მოათავსეს მარმარილოს ურნაში, ეკლესიაში, სადაც პანაშვიდები იმართებოდა. როდესაც რავენა ვენეციას (ვენეციის რესპუბლიკას უწოდებდნენ *Serenissima*-ს) დაექვემდებარა, მერმა ბერნარდო ბემბომ (ცნობილი პიეტრო ბემბოს მამა) 1483 წელს არქიტექტორ პიეტრო ლომბარდის შეუკვეთა დიდი ძეგლი, რომელიც პოეტის საფლავს დაამშვენებდა. XIV საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქალაქი საეკლესიო ხელისუფლებას გადაეცა, ლეგატებმა უყურადღებოდ მიატოვეს დანტეს საფლავი, რის გამოც ის განადგურდა. მხოლოდ მომდევნო ორი საუკუნის შემდგომ მიიღეს სერიოზული ზომები: 1692 წელს საფლავი აღადგინეს; რამდენიმე ათეული წლის მერე, 1780 წელს კარდინალ ლუიჯი ვალენტი გონზაგამ არქიტექტორ კამილო მორიჯას დააპროექტებინა ნეოკლასიკური ტაძარი, რომელიც დღემდე არსებობს.

ბამბრძილება შემდგომ ნომარში



„სამოსელი პირველი“



„ხდება ხოლმე თურმე ასეც: ცხოვრობ და არც კი იცი, რომ აქვე, შენ ახლოს, ყოფილა თურმე ისეთი ნიგნი, სადაც მთელი შენი ცხოვრებაა აღწერილი. ადრე კი ეს აზრადაც არ მომდიოდა“ (ფიოდორ დოსტოვესკი, „სანყალი ადამიანები“). დიახ, ასე დაიწყო ჩემი ურთიერთობა გურამ დოჩანაშვილის ერთ-ერთ დიდ შედეგთან, რომელიც, ვფიქრობ, ყველაზე განსაკუთრებულია მისი ნაწარმოებებიდან. ნიგნების კითხვა დედაჩემის დამსახურებით დავინყე, თუმცა მთელი ბავშვობა ვფიქრობდი, რომ ეს უბრალოდ დროის ფუჭი ხარჯვა იყო და სხვა არაფერი. ვინ იცის, რამდენი ნიგნი წავიკითხე, რამდენი ისტორიის თანამონაწილე გავხდი, რამდენჯერ დავუსვი კითხვა საკუთარ თავს: ნეტავ რატომ? რისთვის? ნუთუ მოკვდება? შეუძლებელია, ასე იყოს! მე რომ დამეწერა, სხვანაირად დავასრულებდი!

2021 წელი თავგადასავლებით სავსე გამოდგა ჩემს ცხოვრებაში, ღუზა ჩავუშვი და ზღვაში გავცურე, შეიცვალა ფერები, შეიცვალა მიმართულება, მთელი წელი ისე გავიდა, ნიგნი ვერ წავიკითხე... ოქტომბრის ერთ მზიან დღეს ჩემს ბიბლიოთეკას გადავხედე, თითქოს ვიგრძენი ნიგნების გულისცემა. პირველი, რისი წაკითხვაც მომინდა, „სამოსელი პირველი“ იყო, მასხოვს, ჩემს დაბადების დღეზე მაჩუქა ერთმა მეგობარმა. სიმართლე გითხრათ, აზრადაც არ მომსვლია, რა მელოდა, სათაურიც ბევრს არაფერს მეუბნებოდა. დავინყე კითხვა... გვერდს გვერდი მიჰყავს, კითხვის დროს მთლიანად ნიგნის სამყაროში შევვდი და ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ავტორი ჩემზე წერდა, თითქოს მთელი ჩემი ცხოვრება მოენიშნა, სახელები შეეცვლა პერსონაჟებისთვის, ფაქტებისთვის უფრო მხატვრული იერსახე მიეცა. დიახ, დომენიკო ჩემი, შენი, ჩვენი ისტორიაა. როგორც კი კითხვა დავინყე, მალევე მივხვდი, რომ მწერლისთვის „უძლები შვილის“ (ლუკა 15,11-32) ისტორია გახდა შთაგონების წყარო. გურამ დოჩანაშვილის თქმით, „შემოქმედის დანიშნულებაა, ბიბლია უბიბლიოდ მიიტანოს ადამიანამდე“.

ნიგნში მრავლად არიან პერსონაჟები, მე კი მხოლოდ ორ მათგანზე გავამახვილებ ყურადღებას: მამაზე, რომელსაც ავტორმა სახელი არ მისცა, ის

უბრალოდ მამაა, დიახ, მამა, რომელსაც უყვარს თავისი შვილები, მზადაა, მათთვის ყველაფერი გაიღოს; მას ორი შვილი ჰყავს, გვეგვე და დომენიკო, ზუსტად დომენიკოს მიერ განვლილი გზაა მოცემული მთელ ნაწარმოებში. ახალგაზრდა დომენიკო გადაწყვეტს, სოფლიდან წავიდეს ქალაქში, იქ, სადაც სხვა ცხოვრებაა, თავისუფალი, ლამაზი და სააუცხოო; იგი დარწმუნებულია, რომ მხოლოდ იქ, სადაც შორს, ძალიან შორს, იმალება ბედნიერების გასაღები. შვილის სურვილის ასასრულებლად მამა ყიდის ყველაზე ძვირფას განძს, სამოსელი პირველის თვლებს და უშვებს დომენიკოს, უშვებს და იცის, რაც მოხდება, თითქოს გრძნობს, განიცდის, მაგრამ არ შეუძლია, უარი უთხრას შვილს. მამა სოფელში დარჩა, მაგრამ მუდამ თან ახლავს დომენიკოს. მამას მუდმივად გრძნობს მგზავრი, მის სახებას ხედავს თავს ზემოთ იმ ლაქაშიც, რომელიც ჭერს ამჩნევია; როდესაც შიში დაეუფლება, მამას შეიგრძნობს დომენიკო. პირველი, სადაც ჩვენი მგზავრი ხვდება, „ლამაზი ქალაქია“, აქ მან შეიგრძნო ქალაქის რიტმი და ქალაქის სიყალბე. საქმე ისაა, რომ არც ამ ქალაქში იძვრის დრო. ეს უძრაობა და ერთფეროვნება ხელს აძლევს ყველას. ერთმანეთს ენაცვლება ზაფხულის, ზამთრისა და გაზაფხულის თამაშები. ცხოვრება თამაშსა და დროსტარებაში გადის. იქ ყველაფერი ყალბია - სიყვარულიც, მეგობრობაც. ეს სიყალბე შეიცნო დომენიკომ. გზას იგი დიდ, ნაცურისფერ, გლუვ ქალაქში - კამორაში მიჰყავს. საქმე ისაა, ძალაუფლების ზეობის ის მოდელი, რომელიც კამორაში დამკვიდრებულა, ისევე ძველია, როგორც კაცობრიობა. ვარდისფერი და ცისფერი „ლამაზი ქალაქისაგან“ განსხვავებით, მარმარილოს ქალაქ კამორაში ყველა კარი ყრუდაა ჩაკეტილი, ხალხი სიმდიდრეს გადაურევია. მძიმე გზის გავლა მოუწევს დომენიკოს, თუმცა დააღწევს თავს და კანუდოსში მოხვდება - თავისუფალ ქალაქში. აქ მან თავისუფლების ფასი ისწავლა, ურთიერთსიყვარულის დიდი მაგალითი მიიღო. მიუხედავად მძიმე გზისა, დომენიკომ შეძლო სოფელში დაბრუნება, ალბათ ვალდებულიც იყო, ასე მოქცეულიყო, მას უნდა ჩაეტანა საკუთარი გამოცდილება, თავისუფლების ფასი,

სიყვარულის ძალა და ცხოვრების არსის მნიშვნელობა. ყველაზე გადამწყვეტი მისი დაბრუნება და მამის დახვედრაა, მიუხედავად ყველაფრისა, მოსიყვარულე მამა პირველი ამჩნევს დომენიკოს, ალბათ იმიტომ, რომ არც არასოდეს დაუტოვებია მარტო.

აქ შევჩერდები, ნიგნი ნამდვილად გენიალურია, შემოიძლია ხმამაღლა ვთქვა, რომ ამ ნიგნს „ჩვენი ცხოვრების ნიგნი“ ჰქვია. მასში უამრავი ცხოვრებისეული ისტორიაა გადმოცემული. ეს ჩვენი ისტორიაა, ადამიანების ისტორია, მამა კი ის ღმერთია, რომელიც მუდამ ჩვენთანაა, მაშინაც კი, როცა გავრბივართ, როცა სხვაგან ვექძებთ ბედნიერებას, ის კი აქვე, ჩვენ თვალწინაა. ალბათ ჩვენც გვჭირდება „ლამაზი ქალაქის“, კამორას, კანუდოსის გავლა,

იმისთვის რომ გავიზარდოთ, გავიგოთ უფრო მეტი ცხოვრების ქარტეხილებზე და ახლა რამდენი ჩვენგანია ამ ქალაქებიდან ერთ-ერთში? რამდენი ჩვენგანი ფიქრობს, რომ გზა აღარ ჩანს? იქნებ „ლამაზი ქალაქში“ ვინმე გაჭედილა, ან კამორას ჩარაზულ სახლებშია დატუსაღებული და ვერ გამოდის გარეთ, ან იქნებ კანუდოსშია ვინმე და სწავლობს თავისუფლების ფასს? მუდამ მემახსოვრება ფრაზა ნანარმოებიდან: „დედამინას სიყვარული ატრიალებს“. და ვინაა ამ სიყვარულის ავტორი შენთვის? ვინაა მამა შენთვის? ვინაა დომენიკო შენთვის? თუ ჯერ არ წაგიკითხავს, გირჩევ, დღესვე დაიწყე და მერნ-მუნე, შენ აუცილებლად აღმოაჩენ ამ ნიგნში შენს ისტორიას.



WahooArt.com - Bartolome Estaban Murillo - Return of the Prodigal Son

დედიკო, რატომ ჰქვია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დღეებს სამუშაო დღეები?

შვილებთან ყოველდღიურ ურთიერთობაში ხშირად ვაწყდებით ისეთ კითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემისას საინტერესო ცნობებს აღმოვაჩინებ ხოლმე. ამჯერად ვეცდებით, ვუპასუხოთ არლის სამრევლოს წევრის, 12 წლის ტატო მერაბიშვილის შეკითხვას: „რატომ ჰქვია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით დღეებს სამუშაო დღეები?“. უნინარესად, მაგლობა მინდა გადავუხადო მას და მის დედიკოს, თიკო მათოშვილს საინტერესო კითხვისათვის. აღმოჩნდა, რომ ამ მარტივ კითხვაზე, ერთი შეხედვით, საკმაოდ საინტერესო პასუხები არსებობს. ასე რომ, ჩვენს პატარა მკითხველებს ვთავაზობთ კვირის დღეების შესახებ მცირე ცნობებს.

თავდაპირველად გავიხსენოთ, როგორ წარმოიშვა კვირის დღეები. ბიბლიის მიხედვით, ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენა. აქედან დაედო საფუძველი ქრისტიანულ სამყაროში შვიდდღიან კვირას და კვირის, როგორც უქმე დღის, დამკვიდრებას. თუმცა, იმ დროისათვის უქმე დღედ შაბათი მოიხარებოდა (ებრაელთათვის დღემდე ასეა). სიტყვა შაბათიც სწორედ უქმეს, დასვენებას ნიშნავს. კვირის დანარჩენი დღეების ათვლა შაბათის მომდევნო დღიდან იწყებოდა, შესაბამისად, კვირადღე კვირის პირველი დღე იყო. ძველ ქართულში კვირას ერთშაბათი ეწოდებოდა, თუმცა, მოგვიანებით ის ბერძნული ენიდან შემოსულმა „კვირიაკემ“ (ბერძნ. Κυριακή - საუფლო დღე) შეცვალა, რადგან კვირა უფლის დღედ იქნა მიჩნეული და დასვენებაც შაბათის ნაცვლად ამ დღეს დანესდა. რაც შეეხება პარასკევს, ეს სიტყვაც ბერძნულიდანაა შემოსული და ნიშნავს მზადებას (ვინაიდან შაბათი ებრაელთათვის დასვენების დღე იყო, მზადებას წინა დღიდან იწყებდნენ (παρά + σκευή) <https://www.onomatologio.gr/>).

კვირის დღეების წარმოშობასა და სახელდებაზე არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, შვიდდღიანი კვირის შემოღება ბაბილონელებს უკავშირდება. უძველეს დროში ადამიანები თაყვანს სცემდნენ პლანეტებს, მზესა და მთვარეს, სულ შვიდ მნათობს. თითოეულ მათგანს თავის დღეს მიაკუთვნებდნენ, შესაბამისად, შვიდი დღე გამოდიოდა. შემდგომ თანდათან გავრცელდა სხვადასხვა კულტურაში და დღეს ბევრ ევროპულ ენაში კვირის დღეების სახელდება სწორედ პლანეტებს უკავშირდება.

სამუშაო და უქმე დღეების დაყოფის საკითხს მე-19 საუკუნის ამერიკამდე და ინდუსტრიულ რევოლუციამდე მივყავართ, როდესაც ფაბრიკებსა და ქარხნებში დასაქმებულ მშრომელებს უფლება მისცეს, კვირაში ერთი დღე დაესვენათ. გადანყდა, რომ ეს იქნებოდა კვირადღე, ვინაიდან ქრისტიანებისთვის ის წმინდა დღე იყო. თუმცა, ეს საკითხი ასე იოლად ვერ მოგვარდა, რადგან მუშების უმეტესობას ებრაელები შეადგენდნენ, მათთვის კი წმინდა დღე შაბათი იყო, მუშების მოთხოვნის საფუძველზე, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის შაბათიც უქმე დღედ გამოცხადდა (1908).

უქმე დღეების დადგენა უკავშირდება ჰენრი ფორდის სახელს, რომელიც ყველასათვის ცნობილი საავტომობილო მარკის, „ფორდის“ დამფუძნებელია. 1926 წელს მან ავტომობილის ქარხნის მუშებს შაბათი და კვირა უქმე დღეებად ოფიციალურად დაუწესა. ფორდი ფიქრობდა, რომ თუ კომპანიებს შემოსავლები და მოგების მიღება სურდათ, საკმარისი რაოდენობის კლიენტებიც უნდა ჰყოლოდათ პროდუქციის შესაძენად. იმისათვის რომ ადამიანს რამის შეძენის სურვილი გასჩენოდა, მას თავისუფალი დრო, დასვენება და ფული სჭირდებოდა. ფორდმა გადანყვიტა, რომ მის მიერ წარმოებული მანქანები მიეყიდა არა მარტო გარეშე პირებისთვის, არამედ მისსავე ქარხანაში დასაქმებული მუშებისთვის, რომლებიც კვირაში შვიდ დღეს მუშაობდნენ. ჰენრი ფორდის რევოლუციურმა გადანყვიტებამ პროდუქციისა და წარმოების ზრდა ნამდვილად განაპირობა - დასვენების დღეების შემოღებაში მას ბევრმა ქვეყანამ და ინდუსტრიამ მიბაძა. მოგვიანებით, 1932 წელს, დიდი დეპრესიით გამოწვეული უმუშევრობის დასაძლევად, აშშ-მ ხუთდღიანი სამუშაო კვირა მთელი ქვეყნის მასშტაბით დააკანონა. ამის შემდეგ მთელ მსოფლიოში გავრცელდა სამუშაო და უქმე დღეების ტრადიცია.

ვიმედოვნებ, კვირის დღეების შესახებ ეს მცირე ინფორმაცია საინტერესო იქნება ჟურნალის მკითხველისათვის.

ვთხოვთ მშობლებს, გაგვიზიარონ შვილების მიერ დასმული შეკითხვები. მოგვწერეთ ელფოსტაზე: journali.saba@gmail.com ან Facebook-გვერდზე: Shoren Parunashvili.

ა.წ. ივნისში რომში გაიმართება ოჯახების საერთაშორისო შეხვედრა;

ამასთან დაკავშირებით, შემოგთავაზებთ ონლაინ საოჯახო კატექეზებს ფეისბუქის გვერდზე: Catholic.ge - კათოლიკე ეკლესიის მედია. კატექიზაცია შედგება თვეში ორჯერ; თარიღს წინასწარ გაცნობებთ ამავე საიტისა და INER Georgia - წყვილისა და სიცოცხლის სამსახურში ფეისბუქის გვერდის მეშვეობით.

პირდაპირი ჩართვები საშუალებას მოგცემთ, მიიღოთ შეხვედრაში მონაწილეობა, დაუსვათ კითხვა მომხსენებელს და გამოხატოთ თქვენი აზრი.


პირველი შეხვედრის (თებერვალი) თემა იყო: პაპ ფრანცისკეს წერილი მეუღლეებს - წაკითხვა და კომენტარი, მომხსენებელი მამა აკაკი ქელიძე.

საოჯახო პასტორალური კომისია/ინერ-ჯორჯია



ბანსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!

გარდაიცვალა კათოლიკე ეკლესიის დიაკონი ანტონ ხითაროვი. იგი ოზურგეთის სოფელ შრომის საკრებულოში მსახურებდა. ინფორმაციით, ანტონ ხითაროვი ბოლო პერიოდში ავადმყოფობდა. კათოლიკე ეკლესია მწუხარებას გამოთქვამს და უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახს.



შოთა აკოფაშვილი
* 18. 04. 1947, არალი
† 25. 10. 2021, ვაღე



ნანა ნახიძე
* 10. 05. 1947, ქუთაისი
† 22.11. 2021, ქუთაისი



ივანე ავშალიანი
* 02.10. 1979, თბილისი
† 15.12. 2021, თბილისი



შოთა მაჭიჭიშვილი
* 15. 03. 1933, ასპინძა
† 17. 12. 2021, ხიზაბაგრა



ვენერა სარკინიანი
* 15. 09. 1959, ოზურგეთი
† 21. 12. 2021, ოზურგეთი



მიხეილ ნუსოვილი
* 26. 05. 1951, ახალშენი
† 03. 01. 2022, მოსკოვი



ალიონა ცოციანი
* 1936, ნინოწმიდა
† 12. 01. 2022, ოზურგეთი



ჟანა ხითაროვი
* 28. 06.1940, თბილისი
† 20. 01. 2022, თბილისი



ბაბაულე სუცივილი-ყარაშვილისა
* 27. 03. 1934, ასპინძა
† 27. 01. 2022, ხიზაბაგრა

მოახლოებული დიდმარხვისათვის

შეგახსენებთ, რომ ორმოცდღიანი დიდი მარხვა პირდაპირ არაა დაკავშირებული კვებით მარხვასთან, თუმცა ეს უკანასკნელი მისი მთავარი მახასიათებელია. ჩვენი ეკლესიისათვის ძალაშია შემდეგი მითითებები:

- მან, ვინც არ არის ავად, ძალა შესწევს, ჯანმრთელადაა და შეუძლია,
- ნაცრისყრის ოთხშაბათსა და ნითელ პარასკევს შეინახოს მძიმე მარხვა, შეძლებისდაგვარად, მიიღოს მხოლოდ პური და წყალი;
- დიდმარხვის ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს მიიღოს უხორცო საკვები მხოლოდ ერთხელ და, გარდა ამისა, შეუძლია კიდევ მცირე ნახემსება;
- ვისაც სურს, შეუძლია უარი თქვას ხორციან საკვებზე მთელი დიდმარხვის განმავლობაში (კვირადღე არ არის მარხვის დღე);

თითოეულს შეუძლია უარი თქვას რაიმე მისთვის განსაკუთრებით სასიამოვნოზე (სიგარეტი, ტკბილეული, ინტერნეტი, თამაშები) და მოიმოქმედოს მოყვასისადმი თანადგომის საქმე.

შეგახსენებთ, რას წერდა ერთი წმიდა ეპისკოპოსი: „თავი შეიკავეთ არა იმდენად ჭამისაგან, რამდენადაც გაუმაძღრობისაგან. კერძის მოკლებას სჯობს მოიკლოთ ფუფუნება, ფლანგვა, ზედმეტი. მეტი გამბედაობაა საჭირო: სუფრასთან არ მისვლას სჯობს დაამატოთ ადგილი მაგიდასთან. უკეთესია, გატეხოთ პური ვინმესთან ერთად, ვიდრე უარი თქვათ საკვებზე, გაუზიარეთ სხვებს რაცა გაქვთ...“ (დონ ტონინო ბელო).

მეუფე ჯუზეპე პაზოტო
კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი

ISSN 2720-8001

საბა



საბარძიშვილი კათოლიკეთა ყოველთვიური საბა
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA

მთავარი რედაქტორი: მ. გაბრიელ ბრატანოვი CSS
ხარდაჭერილი კომპანია: ნუშარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ლაღინაძე, ციციო ხოთარაშვილი
მომხმარებელი მხარდაჭერა: მღვდ. მხედ. სურმაგა, თამარ სტეფანიძე
მისამართი: ჟურნალ „საბა“ რედაქცია, ვია აბესაძის ქ. №4ა/005, თბილისი, საქართველო;
E-mail: saba.jurnal@gmail.com; რეგისტრაციის №1853, დაარსდა მანანა ანდრიაძის მიერ 1995 წელს, © „საბა“